# ახალი სხივი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ოთხშაბათი, 10 თებერვალი 1910 წ. № 6

გაზეთი „ახალი სხივი“ ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ე რ თ ი წ ლ ი თ 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. თვიურათ თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი ს ფ ა ს ი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელ—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები, ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ე რ თ ი შ ა უ რ ი. რედაქციის ადრესი: თფილისი, ვანქის ქუჩა



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ახალი სხივი“

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის

გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს: თფილისსა და თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., საზღვარ-გარეთ: ერთი წლით 14 მ., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ., ერთი თვით: თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კ.

ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ა მ ი ი ღ ე ბ ა: თფილისში „ახალი სხივის“ კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ჭიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კეცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში ს. ორაგველიძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფული რედაქციის კანტორაში.

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა № 3, შემოსავალი დიდი ვანქის ქუჩიდან.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. „Шрома“, Калистрату Конст. Цуладзе.

წარმოდგენა 34 **ქართული თეატრი** წარმოდგენა 34

ხუთშაბათს 11 თებერვალს 1910 წ.

გასტროლი ნ. დ. დავითაშვილისა.

ქართული დრამ. საზოგადოების დასის მიერ ბ. ვლ. ალ. მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება: პირველად ახალი პიესა ი. პოტაპენკოსი

## მომხიბლავი ზღაპარი

დრამა 4 მოქ. თარგ. შ. დავითაშვილისა.

**არდგენენ:** ქ-ნნი ტასო აბაშიძე, მ. მდივანი, ბ. ნებიერიძისა, ნ. ჯავახიშვილი, პ. შოთაძე.—ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი, კ. ანდრონიკაშვილი, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, დ. მგალობლიშვილი, ვ. მურვანიშვილი, ვ. მატარაძე, ი. ქივიძე, გ. იმხნელი.

**ადგ. ფასი:** ლოჟები 10 მ. 50 კ-დან 5 მ-დე. პარტერი 2 მ. 50 კ-დან 75 კ-მდე გალერეია 50 კ —25 კ-დე, მოწაფეთათვის 50 კ. **დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

**ანონსი:** 14 თებერვალს, ბენეფისი ტასო აბაშიძისა წარ. იქნება შირვან-ზოდეს პიესა **„ნამუსისათვის“** და **„გულმა იგრძნო“**

მზადდება წარმოსადგენათ: **„დანაშაული და სასჯელი“** დოსტოევსკისა, **„შავი ბერი“**

რეჟისორი: ვლ. ალ.-მესხიშვილი რეჟ. თანაშემწე: გ. ურუშაძე.

ს ა ხ ა ლ ხ ო უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ი.

**კვირას, 14 თებერვალს**

**ნ. ე. ე რ მ ო ლ ო ე ვ ი** წაიკითხავს ლექციას:

## პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ე კ ო ნ ო მ ი ა ზ ე

ლექციის შემდეგ გაიმართება

## კ ო ნ ც ე რ ტ ი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი გავრიშევა, სოლოდიანი, დავიდოვისა. ბ-ნი: ვართანოვი, გოფმანი და ჩაროვ.

**ძმები პალიევები დაუკრავენ სკრიპკაზე**

დასაწყისი დილის 11 საათზე. აკომპანიმენტი მ. ფ. ზეიცი.

ბილეთების ფასები 5 კაპ. და 10 კაპ.

ბილეთები იყიდება ყოველ დღე როგორც კასაში ისე თედო დოლიძესთან და აგრეთვე რკინის გზის სახელოსნოში: «სბორნი» ცეხის კანტორაში ი. მამაცევთან, „ტოკარნი“ ცეხში ს. ჩიკვაიძესთან, „ვაგონნი“ ცეხში კ. გოგუასთან, „პარავოზების“ დეპოში ნ. ისტეროვთან, ქართველთა გამომც. ამხ. სტამბაში ბ. მიკირტუმოვთან, საქონლის სადგურში გ. ფილიასთან, „ტრამვაიში“ ალლაძესთან, ენფიანჯიანცის ფაბრიკაში ვ. კალანდარიშვილთან, „შრომის“ სტამბაში ნესტორ ცინცაძესთან.

კბილის ექიმი

## რომანიშვილი—დგებუაძისა

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.

კბილის ექიმი

## ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათმყოფებს დილით 8—12 ს. საღამოთი 3—7 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საა. ავჭალის № 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს)

ფ ე რ შ ა ლ ი

ლ ე ო ნ ტ ი ბ ა რ კ ა ლ ა ი ა

ცრისიყვავილს. იღებს ყელ-ჭირვების, ხუნაგის და ვენერული სენით ავათმყოფებს 3—6 საათამდის

**ადრესი:** გოგოლის ქუჩა, № 68.

კბილის ექიმი

## ს. ვ ა შ ა ყ მ ა ძ ე

დილით მიიღება ავათმყოფი 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დაღმართი სახ. 15.


## თფილისი, 9 თებერვალი.

ჟურნალისტების წრეში ბ.ბ ყიფიანის და ნაგურსკის „მოსყიდვის“ ამბავმა დიდი არევ-დარევა გამოიწვია: ერთი ნაწილი მზათაა ჯვარს აცვან „ცოდვის“ ჩამდენი, თავის ამხანაგები, მეორე ნაწილი ხარხარებს და გულში რაღაც სიამოვნებას გრძნობს, არიან ისეთებიც, რომლებიც ამ მოვლენას უფრო დინჯათ უყურებენ, უნდათ სრული ობიექტიური მასალა ჩაიგდონ ხელში და მხოლოდ მერმე წარმოსთქვან თავისი უკანასკნელი სიტყვა. 7 თებერვლის კრებაზე აუარებელი მასალა წარუდგინა საზოგადო კრებას გამგეობამ, ზოგიერთი რამ ისეთიც, რაც ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე არ იყო აღბეჭდილი; თვით ბრალდებული ნაგურსკის სიტყვაც ერთგვარ ნათელს ფენს ამ სამწუხარო მოვლენას. მიუხედავათ ყველა ამისა ჩვენ არ ვკისრულობთ ჯერ კიდევ იმის თქმას, რომ ბ.ბ. ნაგურსკიმ და ყიფიანმა შეგნებულათ გაყიდეს ორიოდე გროშზე თავის სინდისი, ნამუსი და პატიოსნება. აქ გვინდა შევეხოთ მიზეზებს ამგვარი სამწუხარო მოვლენისას. ჩვენში აგერ-აგერ დგება ის დრო, როცა კაპიტალის ინტერესები მოითხოვს საკუთარი ორგანოს გაჩენას, საკუთარი მწერლების ყოლას, რომლებიც განსაზღვრულ სასყიდელში მზათ არიან დასწერონ ის, რასაც მოითხოვს კაპიტალის პირდაპირი ინტერესები, დასწერონ და დაიცვან მაშინაც კი, როცა მრეწველთა ინტერესები სრულიად ეწინააღმდეგება მთელი მხარის, ყველა მკვიდრთა ინტერესებს და ნამეტურ მუშათა კლასისას. რაც უფრო მსხვილია კაპიტალი, მით უფრო ადვილი ხდება იმისთვის მსგავსი ორგანოების გაჩენა და რაც უფრო სუსტია, მით უფრო უჭირს მას თავის საკუთარი ინტერესების დამცველი პრესის შექმნა. ჩვენში მსხვილი კაპიტალი გამონაკლისია, სამაგიეროთ არსებობს საშუალო და წვრილი კაპიტალი, არსებობენ სავაჭრო და საკრედიტო დაწესებულებანი, რომლებიც ყველანი ერთათ დაინტერესებულნი არიან თავიანთი ცუდი მხარეები დამალონ და საზოგადოებას კარგი პირი უჩვენონ. ვინ შეასრულებს ამას ყველაზე კარგათ? როცა მრეწველობას პატარა საზოგადოებასთან აქვს საქმე, მაშინ რამდენიმე პირებიც აგენტების სახით საკმაო არიან რეკლამისათვის. სულ სხვაა, როდესაც რომელიმე წარმოებას საქმე მთელ ქალაქთან, მთელ მხარესთან, მთელ სახელმწიფოსთან, ხანდახან მსოფლიო ბაზართან აქვს. აქ კერძო აგენტები, ამა თუ იმ გაზეთში გაკვრით ქებით მოხსენება, მსხვილი წარმოებისთვის საკმაო აღარაა, საჭიროა საკუთარი ორგანო, მუდმივი მწერლები და ხარჯებიც მუდმივი უნდა იქნეს. ჩვენში ჯერ-ჯერობით ასეთი ორგანოები, რომლებსაც ერთათ ერთ მიზნათ ქონდეს დასახული რომელიმე წარმოების სამსახური, არ არსებობს, არ არსებობს სრული ამ სახით თვით რუსეთშიაც კი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში, მთავრობის გაზ. „როსიას“, „ტორგოვო-პრომიშლენაია გაზეტას“ და ზოგიერთ კრებულებს, რომლებსაც მრეწველთა „სიეზდები“ უშვებენ ხოლმე. ამისთანა პირობებში გასაგები ხდება, რომ არსებული გაზეთების დიდი ნაწილი, თითქოს წმინდა იდეალის მსახურნი, უკვე „ცოდვაში“ არიან ჩავარდნილი და ვაჭარ-მრეწველთაგან განცხადების სახით სუბსიდიებს ღებულობენ. ვინც სუბსიდიას იძლევა, ის უკვე მოთხოვნილებას უყენებს გაზეთის გამომცემელს, კარგათ თუ არა, ცუდათ რომ მაინც არ მოიხსენიოს. ეს პირველ ხანებში ხდება ისე ჩუმათ, ფარულათ, ერთმანეთთან წინასწარ მოულაპარაკებლათ, მერე კი ამგვარი დამოკიდებულება ერთგვარ იურიდიულ ხასიათს ღებულობს და ორი მხარე ერთმანეთს ეკვრის პირობით. კაპიტალისტი წინასწარ ეუბნება: შენ, მწერალმა, უნდა დაივიწყო ყოველივე შენი რწმენა, პრინციპი და პატიოსნება; რაც მოუხდება ჩემ წარმოებას, მხოლოდ ის უნდა წეროს შენმა კალამმა; თუ ხარ თანახმა, მაშინ მოვრიგდეთ. მწერალი, რომელიც თანხმობას აცხადებს ამგვარ წინადადებაზე, ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ბიღოს და ამიტომაც ამ ორ მხარეს შორის იმართება ნამდვილი ვაჭრობა, როგორც უბრალო მოსახმარებელ საქონლის ყიდვა-გაყიდვის დროსაა. ეს მოვლენა ევროპაში იმდენათ გახშირებულია, რომ სრულიათ ნორმალურათ მიაჩნიათ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. მოუყიდველია მხოლოდ სოციალისტური პრესა: მთელ საფრანგეთში მარტოთ მარტო „ჰუმანიტე“ არ ღებულობს ბურჟუაზიიდან დახმარებას, სხვები კი ყველანი. ჩვენში ჯერ გაზეთები კიდევ ვერ არიან აშკარა დამცველნი კაპიტალისტების, იმათ თითქოს კიდევაც ერცხვინებათ ამის. ეს იქნება მანამდის, სანამ მკაცრი საზოგადოებრივი დიფერენციაცია არ მომხდარა, სამაგიეროთ მწერლების უკიდურესი ექსპლოატაციას აქაური გამომცემლები დღესვე ეწევიან. შეიძლება ვინმემ იკითხოს, რომ მუშებიც თავის ფიზიკურ ძალას ხომ ყიდიან კაპიტალისტებზეო? ამაზე უნდა ვუპასუხოთ, რომ ყიდიან ფიზიკურ ძალას და არა ნამუსს, ყიდიან ძარღვების და ნერვების განსაზღვრულ ენერგიას, მაგრამ არ ყიდიან თავის რწმენას და პატიოსნებას; ასე რომ ასეთი მწერალის მდგომარეობა გაცილებით უფრო ცუდია იმით, რომ კალმის წვერით დაწერილში გადადის არა ის, რასაც თვითონ გრძნობს, რასაც თვითონ აზროვნებს, არამედ თავის ალის სული და გული, მისი მისწრაფება და იდეალი. ამისთანები იქნებიან. ბ. ბ. ნაგურსკი და ყიფიანი, თუ მართალი გამოდგა მათი მოყიდვა უსახელო საზოგადოების მიერ. ამ მოვლენასთან ბრძოლა, რასაკვირველია, ჩვენი პირდაპირი ვალია, მაგრამ ბრძოლის ნაყოფიერებისათვის საჭიროა თვით გამომწვევი მიზეზის მოსპობა, მიზეზის მოსპობა კი მომავლის საქმეა. მაგრამ დღეს ჩვენ გულხელ დაკრეფილი მაინც ვერ შევხედავთ ამას და იმ მაგალითისკენ მივუთითებთ ჟურნალისტებს, რომელიც უკვე კარგა ხანია მუშების პრაქტიკაში არსებობს: ჟურნალისტების პროფესიონალური კავშირების ერთ დიდ საგანს უნდა შეადგენდეს დამხმარე კასების შექმნა. ამით ცოტათ არის მაინც შეიმსუბუქებენ გაჭირვებულ მდგომარეობას უმუშევრათ დარჩენილი მწერლები და, შესაძლებელია, ბევრი აცდეს ამით იმ გზას, რომელსაც თავის ნამუსით, სინდისით ვაჭრობა ჰქვია.

## სახელმწიფო დუმა.

(სააგენტო დეპეშ.)

8 თებერვალი.

თავმჯდომარეობს თავ. ვოლკონსკი. დუმა ღებულობს ადგილობრივ სასამართლოთა რეფორმების კანონ-პროექტის მუხლებს სამინისტროს რედაქციით. შემდეგ ღებულობენ ათ წვრილ კანონ-პროექტს: სხდომა სწყდება.

სხდომის განახლებისას ოპოჩინინი მოხსენებას აკეთებს მიწათ-მოქმედების მთავარ გამგის კანონ-პროექტის შესახებ, გადადებულ იქნას გადასახლების სამმართველოს განკარგულებაში, დამატებით 466,900 მანათი. საბიუჯეტო კომისია წინადადებას აძლევს დუმას გადადებულ იქნას მხოლოდ 134,885 მანეთი. ანდრეიჩუკი და ბერეზოვსკი თხოულობენ გადადებულ იქნას სავსებით მოთხოვნილი თანხა. კანონ-პროექტს ღებულობენ კომისიის მოხსენების თანახმათ.

თავმჯდომარის ადგილს ხომიაკოვი იჭერს. მატიუნინი მოხსენებას აკეთებს შინაგან საქმეთა მინისტრის კანონ-პროექტის შესახებ, გადადებულ იქნას 250000 მანეთი საზოგადო პოლიციის მოხელეთა და ჟანდარმების დასახმარებლათ. პეტროვი მეორე შრომის ჯგუფის სახელით პროტესტს აცხადებს კანონ-პროექტის წინააღმდეგ. აღნიშნავს, რომ დუმამ ისედაც ბევრი ფულები გადასდო შინაგან საქმეთა მინისტრისთვის. ორატორი ურჩევს იფიქრონ იმ ათი ათას მოქალაქეზე, რომლებიც შინაგან საქმეთა სამინისტროს წყალობით საიქიოს გაემგზავრენ.

ვორონინი აღნიშნავს, რომ სრული სიმშვიდე, ე. ი., სამარისებური სიჩუმე, როგორც მთავრობას უნდა, რუსეთში თავის დღეში არ ყოფილა. მუდამ იყვენ ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლნი და დუმბაძისებური ტურები (მარჯვნით ხმაურობა. ხმები: კმარა!) თავმჯდომარე აჩერებს ორატორს და აფრთხილებს, რომ თუ ასე განაგრძო, სიტყვას წაართმევს. ვორონინი ამბობს, რომ როცა დუმა გადასდებს 250,000 მანეთს, ის ეუბნება ჟანდარმებს: „სცემეთ მათრახები, დასცხეთ კეტები, ნუ გეშინიათ კიდევ მოგცემთ ფულებსო“. (მარცხნით ტაშისცემა). ბარონი ჩერკასოვი ამბობს, რომ სამინისტროს ვალია უზრუნველ ყოს პოლიციელები და ჟანდარმები, რომლებსაც მძარცველები და ხულიგანები ჰკლავენ. კუზნეცოვი ეკითხება ჩერკასოვს: იცავდა თუ არა სამინისტრო სახლებს და სხვა ქონებას ებრაელთა დარბევის დროს? ორატორის სიტყვით სამინისტრო იცავდა შეერთებულ თავად-აზნაურთა ქონებას. ორატორი შეუძლებლათ სცნობს დახმარება აღმოუჩინონ ისეთ პირთ, რომლებსაც მხოლოდ ზარალი მოაქვთ მთელი ქვეყნისთვის, იმ დროს, როცა მუშათა დახმარების შესახებ კანონ-პროექტი ამდენი ხანია უბრალოთ დევს. ტიმოშკინი, მომხრე კანონ-პროექტის, კანონ-პროექტს ღებულობენ თანახმათ კომისიის მოხსენებისა.

დიდ კამათს იწვევს კანონ-პროექტი 1910 წელსაც გადაიდოს თანხა კავკასიაში ტიპოგრაფთა შესანახათ; ჩხეიძე აღნიშნავს რომ კავკასიაში მთავრობა არ ზრუნავს გადასახლებულთა პუნქტებისათვის, არამედ პოლიტ. მიზნით მოქმედობს, ცდილობს უთანხმოება ჩაათესლოს გადასახლებულთა და ადგილობრივ მცხოვრებთა შორის. ჩხეიძეს ეკამათებიან ანდრეიჩუკი და ტიმოშკინი, რომ რუსეთის საზღვრებს რუსის ხალხი უნდა იცავდეს. კანონ-პროექტს ღებულობენ და სარედაქციო კომისიას გადასცემენ. შემდეგ დუმა ღებულობს 17 წვრილ კანონ-პროექტს.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9. თებერვალი

**საზღვარ-გარეთ**

**ვენა.** 9 ნოემბერს ვენის, ბუდაპეშტის და სარევის ოფიციალურ ორგანოებში გამოაქვეყნებენ იმპერატორის მიერ დამტკიცებულ ტექსტს ბოსნიასა და ჰერცოგოვინის კონსტიტუციის შესახებ. კონსტიტუციონური სტატუტით განსაზღვრულია, რომ ბოსნია და ჰერცოგოვინას მართვა გამგეობას თვალ-ყურს ადევნებს იმპერიის ორივე ნაწილის მინისტრებისეიმის კომპეტენციაში შედის ბოსნია-ჰერცოგოვინის შინაური საქმეები, საბიუჯეტო უფლება, ხოლო მთელი მონარქიის ან ავსტრო-უნგრეთის საკითხები სეიმს არ ეკუთვნის. სეიმის კანონ-პროექტებს იმპერატორი ამტკიცებს ყოველწლივ. იმპერატორი ყოველ წლივ ნიშნავს სეიმის თავმჯდომარეს და ორ ვიცე-თავმჯდომარეს. მთელი ქვეყნის სამი მთავარ სარწმუნოების წარმომადგენელნი უნდა იყვენ პრეზიდიუმში. სეიმის დებულებაში ნათლად აღნიშნულია სეიმის საქმის წარმოების ნაკაზი. ის კითხვები, რომლებშიაც ბოსნია-ჰერცოგოვინის გარდა დაინტერესებული არიან მონარქიის ერთი ან ორივე ნაწილი, საგანგებო საბჭომ უნდა გაარჩიოს, რომელიც ცხრა წევრისაგან უნდა შესდგეს. საბჭოს სათათბირო უფლება ექნება. საზოგადო მოქალაქობრივ უფლებათა ძირითა პრინციპებს შეადგენს ყველას თანასწორობა კანონის წინაშე, სარწმუნოების თავისუფლება, ნაციონალურ საკუთრების და ენის ხელშეუხებლობა, თავისუფლება სიტყვის, მეცნიერების, პეტიციის, კრების, ბინის და ქონების ხელშეუხებლობა. ფოსტა-ტელეგრაფის კორესპოდენციების საიდუმლოება. საარჩევნო კანონი სამ საფეხურიანია. მეორე და მესამე კურიისათვის დაწესებულია საყოველთაო და პირდაპირი საარჩევნო უფლება. ლანდტაგის წევრებათ არიან 20 ვირილისტი, მათ შორის ყველა სარწმუნოების წარმომადგენელნი და 72 დეპუტატი, რომლებსაც პროპორციონალურათ ირჩევენ. კონსტიტუციონურ სტატიებთან ერთათ გამოიცა კანონები, რომლებიც ეხებიან კრებას, კავშირებს და აგრეთვე სოლქო საბჭოებს. საბჭოები მართვენ ოლქის საზოგადო საქმეებს.

**ფილადელფია.** 7 თებერვალს ქალაქის რკინის გზის გაფიცულმა მოსამსახურეებმა დაამტვრიეს 297 ვაგონი. წესიერების აღსადგენათ 3000 პოლიციელი გაიგზავნა.

**ლონდონი.** 7 თებერვალს საშიშარი ქარ-ბუქით გაფუჭდა ტელეგრაფი და ტელეფონი. ცნობები მოვიდა გემების დაღუპვის შესახებ.

**პარიჟი.** საბიუჯეტო კომისია შეუთანხმდა მთავრობას. 1910 წლის ბიუჯეტის შესახებ განზრახულია სესხათ აიღონ 111 მილიონი მ. მთავრობამ და კომისიამ უარყო თამბაქოზე, პაპიროსზე და სხვა სასმელებზე ბაჟი.

**ლონდონი.** 8 თებერვალს საზოგადოებათა პალატაში წაკითხულ სეფე-სიტყვიდან სჩანს, რომ მთავრობას სურს მეგობრული დამოკიდებულება იქონიოს სხვა სახელმწიფოებთან, დაარსოს საკანონმდებლო დაწესებულებები ინდოეთში. შემდეგ აღნიშნულია იმ უთანხმოების შედეგები, რომლებიც ქვედა და ზედა პალატას შორის ხდებოდა.

**რუსეთი.**

**ადესა.** ხარატ სლავინსკის ბინის გაჩხრეკის დროს, ბინის პატრონმა რევოლ-

ვერით დასჭრა გოროდოვოი და გაიქცა. დაიჭირეს ერთი მუშა.

**უფა.** სააქციზო გადასახადების გამგეს საჩივრის გამო, გაზეთ „ვესტნიკ უფი"-ს რედაქტორს საოლქო სასამართლომ სამი თვის ციხე და 200 მან. ჯარიმა მიუსაჯა.

**პეტერბურგი.** გაძლიერებულ დაცვის წესები გაგრძელებულ იქნა ეკატერინოსლავის გუბერნიაში 4 სექტემბრამდე.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო საბჭო. რვა თებერვალს სახელმწიფო საბჭოს სხდომას აუარებელი ხალხი დაესწრო. დაესწრენ საფრამგეთის სტუმრები. წაიკითხეს უმაღლესათ დამტკიცებული კანონპროექტები.

**პერმი.** ღამით რევოლვერით თავი მოიკლა იუსტიციის სამინისტროს საგანგებო საქმეთა მოხელე ლიადოვმა, ის ამხანაგობა „მუშა"-ს სამმართველოს დირექტორათ იყო.

**ლოძი.** ბრაუნინგით სასიკვდილოთ დასჭრეს უბნის ზედამხედველი, მკვლელი დაიჭირეს. მკვლელობის მიზეზი კერძო მტრობაა.

პაბანიცის გზა-ტკეცილზე, რამდენიმე შეიარაღებული უცნობი თავს დაესხა ორ ვაჭარს წაართვეს ცხენი, 3000 მან. სცემეს და გაიქცენ.

**შავი ჭირი**

**ასტრახანი.** ბოდაისში ისევ გაჩდა შავი ჭირი მოკვდა 4, ავათ არის ორი.

---

## ჟურნალისტთა საზოგადო კრება.

### შთაბეჭდილება.

მირზოევ-ბატაილის სახელით მონათლულ საქმეს, თანდათან ფარდა ეხდება, ყოველ დღე ახალ-ახალ ცნობებს ვპოულობთ ამა თუ იმ გაზეთის ფურცლებზე, ერთ „გმირს" მეორე მოსდევს, მეორე მესამეს ითრევს, მესამეს მეოთხე გამოჰყავს სცენაზე და ასე ვინ იცის კიდევ რამდენ საზოგადო „მოღვაწეს" ნიღაბი ჩამოეხდება და მთელი თავის სიგრძე-სიგანით სადაცაა საზოგადოების წინაშე გაითხლარშება. არც ვნანობთ. ვნანობთ მხოლოდ რომ ეს დღემდის არ მოხდა, დღემდის არ შეაშუქასინათლის შუქმა იმ ბნელ სარდაფებში, სადაც ამგვარი ჯურის ვაჟბატონები, სასოგადო მოღვაწის მანტიაში გახვეულნი, ასეთი ხელოვნებით და ოსტატურათ обдѣливаютъ свой дѣла и дѣлишки.

ვინ იცის ჯერ კიდევ რამდენ ხანს იპარპაშებდენ ეს რაინდები, რომ აქაც დახმარება არ გაეწია... ბატაილს, დახმარება რასაკვირველია უნებლიეთი, შურის ძიებით და შელახული თავმოყვარეობით გამოწვეული. რომ ბატაილის წამოყრანტალება არა, ვინ იცის ჯერ კიდევ რამდენხანს უკმევდენ გუნდრუკს ფლიდნი და თვალთმაქცნი მირზოევს და Kº-ს.

ზოგიერთებს აღელვებს, როგორც მათი წერილებიდან თუ სიტყვებიდან სჩანს არა ის ფაქტი რომ პრესა „გაჰყიდა" ყიფიანმა—ნაგურსკიმ, არამედ ის რომ მოხდა თვით გაყიდვა. ასე შენიშნავდა მაგ. „ნ. რეჩის" მეპრესე მე 30 ნომერში. „გ. მ." კორესპონდენტი დაინტერესებია არა თვით ფაქტს მოსყიდვისას, (ხაზი ჩვენია) არამედ ქართული პუბლიცისტების მოსყიდვასო—სწერდა ის. ასეთი აზრისაა არა მარტო „ნოვაია რეჩის" მეპრესე, არამედ კი ევ ბევრი. ჩვენ კი ამ მხრით ეს კითხვა სრულიადაც არ გვაშფოთებს. არ გვაშფოთებს იმიტომ, რომ აქ არაფერი ისეთი არ მომხდარა, რაც სხვაგან ჩვეულებრივ მოვლენათ არ იყოს გადაქცეული. აიღეთ ევროპა. იქ მთელი ორგანიზაციები არსებობს პრესის მოსაყიდათ. ვინ დათვლის რამდენი ასი და ათასი მოსყიდული კალამი წრიპინებს ყოველ დღე, ვინ მოსთვლის რამდენი ნაგურსკებისთანა კი არა ბევრათ უფრო ცნობილი პუბლიცისტები ვაჭრობენ კალმით. ვინ არ იცის, რომ მთელი ევროპა მოფენილია ეგრეთ წოდებული ყვითელი პრესით, რომელიც ურცხვათ ვაჭრობს „დიდ ზარაზე" მთელ ევროპაში იშვიათია ისეთი გაზეთი, გარდა სოციალისტურისა, რომელიც მოსყიდული არ იყოს და ან და მისი მოსყიდვა არ შეიძლებოდეს. და განა ეგევე არ ხდება რუსეთში? განა ცოტაა რუსეთში მოსყიდული კალმები და გაზეთები? ნუ თუ ეს ვისმესთვის ახალია!? განა თანამედროვე გაბატონებულ საზოგადოებას მარტო ჟურნალისტები ყავს მოსყიდული?!

მაშ რათ აღელვებთ ზოგიერთებს თვით ფაქტი მოსყიდვის? ზედ მეტი უმანკობაა. ჩვენ კი პირადათ კითხვის ეს მხარე არც გვიკვირს და არც გვაშფოთებს, რადგან კარგათ გვესმის თანამედროვე წყობილების მთელი ზნეობრივი ავლა-დიდება, მისი სულის კვეთება, მისი მიზანი და მისი საშუალება. კაპიტალისტური წყობილება ხომ ყოველ-გვარი გარყვნილების, სისაძაგლის, საზიზღრობის, გათახსირების და გარხწნის განხორციელებაა.

ჩვენ გვაინტერესებს სწორეთ ის მხარე რომელიც «ნოვაია რეჩის» მეპრესეს უმნიშვნელოთ მიაჩნია, ე. ი. ის თუ ვინ იღმოჩნდა „მოყიდული". ბ. ყიფიანს და ნაგურსკის საზოგადოების ნაწილი მაინც იცნობს, მათ ანგარიშს უწევდენ, და მათ სიტყვას ასე თუ ისე გასავალი ქონდა. და გამოაშკარავებული ფაქტი იმდენათ საინტერესოა ჩემთვის, რამდენათ მათ ნიღაბს ხდის, რამდენათ მათ ნამდვილ სახეს ააშკარავებს და მათ ნამდვილ ფიზონომიას საზოგადოებას აჩვენებს. საზოგადოებამ უნდა იცოდეს ვისთან აქვს საქმე და ვინ ელაპარაკება მას.

ამ მხრით კითხვა ჩემთვის გამრკვეულია. ამისთვის საკმარისია ის, რომ ბ.ბ. ნაგურსკიმ და ყიფიანმა ხელი მოაწერეს იმ ხელშეკრულებას, რომლის მიზანია ამა თუ იმ წარმოების ინტერესების დაცვა განსაზღვრული სასყიდლით: შენს ინტერესებს ვიცავ, სანამ ფულს მაძლევ, არ მომცემ-იერიშით მოვალ. ჟურნალისტური ეთიკა, ლიტერატურული სიფაქიზე ვერ ინდობს, სასტიკათ ებრძვის და ერთთავათ უარყოფს ამგვარ დევიზს. იდეიური პრესა სამარცხვინო ბოძზე აკრავს ყველა იმათ, ვინც ასეთი „დაგათ'ებით" აღჭურვილი გამოდის სამწერლო ასპარეზზე. ასეთ შემთხვევაში წერილები გულის სიღრმიდან, იდეიური გატაცებით კი არ იწერება, არამედ ვალდებულებით, მამონის ბრძანებით და კარნახით და ყოველივე ეს რყვნის, ათახსირებს ლიტერატურულ ეთიკას და სწამლავს ყოველგვარ ლიტერატურულ მოღვაწეობას. ამიტომ მარტო ის ფაქტი, რომ ნაგურსკიმ და ყიფიანმა ხელი მოაწერეს ასეთ პირობაზე საკმარისია, იმისთვის, რომ მათ შესახებ ზნეობრივი განაჩენი გამოტანილ იქნეს. აქ მაინცა და მაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას, რომელსაც ზოგიერთები აძლევენ, ე. ი. ტრამვაის დაცვას. განა სულ ერთი არ არის ტრამვაის საზოგადოებას ემსახურები თუ სხვა რომელიმე სამრეწველო ფირმას? აქ მნიშვნელობა ფირმის სახელს კი არ აქვს, არამედ თვით შინაარს. მაშასადამე კითხვა ამ მხრით გარკვეულია. გასარკვევია მხოლოდ ის,—ყიფიანმა და ნაგურსკიმ შეგნებულათ მოაწერეს ხელი პირობას თუ შეუგნებლათ, „გულ-უბრყვილო შეცდომით", როგორც ზოგიერთები ამბობენ, თუმცა ძნელი დასაშვებია ასეთი პირებისაგან ასეთი „შეცდომა". მარა, კარგიც რომ დამტკიცდეს მათი ასეთი „შეცდომა", ეს იქნება მხოლოდ „დანაშაულობის შემამსუბუქებელი" გარემოება და მეტი არაფერი. მათი პრინციპის, მათი რწმენის სიმტკიცის დასამტკიცებლათ ეს მაინც ვერაფერი საბუთი იქნება.

მარა ერთი ვკითხოთ, ნუ თუ მარტო ნაგურსკი-ყიფიანი და მირზოევია გასასამართლებელი?

არის თუ არა მაგ. კალმით ვაჭრობა, როცა ბ. გოთუა 500 მანეთს იღებს „ზაკავკაზიის" რედაქტორისაგან „ოტსტუპნოის", რომ ჩემს გაზეთს დავხურავო? დიახ არის, სხვა ფორმით რასაკვირველია.

არის თუ არა კალმით ვაჭრობა, როცა ჟურნალისტი არა შემთხვევით, არამედ თვიდან წლამდე, წლიდან წლამდე, ისეთ გაზეთში სწერს მუდმივათ, რომლის მიმართულება არამც თუ ეთანხმება მის იდეურ მიმართულებას, პირიქით ძირიანათ ეწინააღმდეგება და მიუხედავათ ამისა სწერს, და სწერს არა თავის გულის ნადებს, არამედ ისე რომ თავის წერილის შინაარსი შეუთანხმოს თვით გაზეთის მიმართულებას, მის ჩარჩოებში ჩასვას და ყოველივე ეს გონორარისათვის, რადგან იდეურ მუშაობაზე აქ ლაპარაკი მეტია. ჩვენ ვფიქრობთ არის.

როცა ბატაილი, ამა თუ იმა რედაქციას, უფასო ბილეთს აძლევს, იმისთვის რომ ეს გაზეთები მას არ ეწინააღმდეგებიან, მის წინააღმდეგ არაფერს სწერენ—და ამას ბატაილი არც მალავს, სხვაროთ აცხადებს და ამის შემდეგაც კი ხსენებული გაზეთები მკაცრი პროტესტით, ზიზღით უკან არ უბრუნებენ ასეთ ბილეთებს—განა ეს შეშვენის და ეკადრება პატიოსან გაზეთს? წვრილმანია შეიძლება, მარა მაინც დამახასიათებელი.

როცა ესა თუ ის დაწესებულება, ამა თუ იმა გაზეთს, არჩევთ, სუბსიდიას აძლევს ფულით თუ განცხადების სახით—არის თუ "არა ეს ეგრეთ წოდებული „კეთილშობილური ქრთამი"?

ასეთ შემთხვევებსა და ყიფიან-ნაგურსკის საქმის შორის განსხვავება მხოლოდ რაოდენობითია და არა თვისებითი; და აი როცა მსაჯულთა რიცხვში ასეთ პირებს ხედავთ, მზათ ხართ უყვირით მათ: ასამართლებთ ყიფიან-ნაგურსკის, მარა მსაჯული ვინაა? ქვა იმან ისროლოს ვისაც „ასეთი ცოდვები" არ ჰკიდია ზურგზე.

სად იყო ბ. ტერ-ნერსესოვი დღემდის? რატომ მირზოევს ბ. ჰრელაევი არ მისდევს უკან? მათაც ხომ სცოდნით თ თქმის ყოველივე, აქტიური მონაწილეობაც მიუღიათ თუ ბოლომდე არა, დაწყებაში მაინც!

კრება კარგათ მოიქცა, რომ განაჩენის გამოტანა გადადო და კომისია აირჩია.

ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გამოურკვეველი. ყიფიანი-ნაგურსკი-მირზოევი მარტონი არ არიან. ეს პატარა თევზებია, ღლავები ჯერ დაუჭერელიაო—სთქვა ერთმა წევრმა და აი ის სწორეთ ამ ღლავების რიყეზე გამოყვანაა საჭირო. ფარდა გამოძიება, მეტი სინათლე!—აი რა არის პირველ ყოვლისა საჭირო.

გულიორკა.

---

## † ალექსანდრე ბახტაძე

—

5 თებერვალს ხანში შესვლი გარდაიცვალა ალექსანდრე ბახტაძე (პრესაში ცნობილი „ალი-ალეს" და „აკშენის" ფსევდონიმით)

1897 წელს ალექსანდრე შევიდა გორის საოსტატო სემინარიაში, კურსი პირველ მოსწავლის ხარისხით დაამთავრა 1901 წ. ... მოსწავლეთ მოთვრობამ ალექსანდრე, კურსის გათავებისთანავე დანიშნა მასწავლებლად „ჰექალაქეში" (სენაკის მაზრაში). აქედან ორი წლის შემდეგ გადაიყვანეს „წალენჯიხაში" (ზუგდიდში) 1905 წ. ალექსანდრემ მასწავლებლობას თავი დაანება. 1907-დან 1909 წლამდის მსახურებდა გურიაში. ის ცნობილი იყო როგორც კარგი მასწავლებელი. სამეგრელოში ყოფნისას გაზეთ „კვალს" აწვდიდა კორესპონდენციებს სამეგრელოს ცხოვრებიდან „ალენსი"-ს ფსევდონიმით; გურიაში ყოფნისას მან ინახულა ეგნატე ნინოშვილის სასაფლაო და ჩვენდა შესარცხვენათ გვაუწყა ერთ ჩვენ ორგანოში „ალი-ალეს" ფსევდონიმით: „ნინოშვილის სამარე უპატრონოთაა მიგდებული და საშოროთა უურადღება მიაქციეთ" ამის შემდეგ შეუდგა მისი ძეგლის ასაგებათ ფულების შეგროვებას. ის თანამშრომლობდა აგრეთვე გაზ. „ტატუმ. გოლოს"-ში. აქ ათავსებდა წერილს „მიღერანის" ფსევდონიმით· სხვათა შორის დღიდან დაარსებისა, ხონის სცენას ერთგულად ემსახურებოდა. მისმა დაკარგვამ დამწუხრა მთელი ხონის საზოგადოება. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი ძვირფასო მეგობარო

ილ. ბახტაძე.

---

## ნიავს

(სემ. ამხ.)

შევის ნიავო დაიხსენ
მგოსნის ფიქრს მიუკარებსა,
შენ ჯერ დაუცხრობ გულის წყლულს
აწმყოსგან ნაიარებსა!

—

იგი კაეშნათ ქცეული—
შავ ციხეს ცრემლით ნაგებსა—
თავს ვასტრიალებს.., უგალობს
ტყვეთ პყრობილ ამხანაგებსა!

—

და თუ გსურს, შენც მას მიჰბაძე—
დაჰქროლე ციხის სარკმელსა...
მეც შენ მოგანდობ ჩემს ვარამს,
მწვავ სიტყვას მათთან სათქმელსა!

. . . . . . . . . . . .

იქ... ჩამიკოცნე ყველანი...
სალამი უძღვენ გულისა,
შეუმსუბუქე ნაღველი
და შვება ჰფინე სულისა!

გასწი გაფრინდი ნიავო...
დე მარილთ დავრჩე ველზედა...
ოღონდ ჩემს ნაცვლათ მეგობრებს
შემოეხვიე ყელზედა...

გ. ქუჩიშვილი.

---

## სპარსეთის მოძრაობის ისტორიიდან.

(გაგრძელება)

თუმცა თვალსაჩინო მუშაობა არც ახლა სუფევდა კომიტეტის წევრებისა, რაიც დიდი საიდუმლოებით ხდებოდა, მაგრამ აფეთქების შემდეგ მათ რაღაც გაფხიზლება ეტყობოდათ და ყოველ მოთხოვნილებას დაუყონებლივ ასრულებდენ.

„რაც გნებავთ გვიბრძანეთ, ჩვენო მზენო, ყველაფერი უმალ იქნება აღსრულებული. ჩვენ რომ თქვენოდენა ვიცოდეთ და თქვენოდენა სულგრძელობა შეგვწევდეს, ბარემ კარგია, მაგრამ რა ვქნათ, როდესაც არაფერი არ ვიცით. თქვენ გაბარებთ ჩვენ მომავალს. ალლახი იყოს თქვენი მფარველი და შემწეო. ყველა სპარსელი იმას გაიძახოდა და კავკასიელებსაც მეტი რა გზა ჰქონდათ, რომ თავს არ ედვათ შეთქმულების მოწყობა?

როგორც ვხედავთ, ყველაფერი კავკასიელებზედ იყო დამოკიდებული. სპარსელებს მხოლოდ ის ედებოდათ ვალათ რომ სასმელ-საჭმელი არ მოეკლოთ მათთვის.

კავკასიიდან იარაღის გზავნამ იკლო ისე, რომ, მთელ სამ თვეში ძლივს ჩაიტანეს ჩვიდმეტი მაუზერი, 43 ყუმბარა და ერთი ფუთი დინამიტი.

თუმცა როგორც ბოლოს გამოირკვა, ვითომ იარაღის სასყიდლათ შვიდი ათასი მანეთი იყოს დახარჯული, მაგრამ სიმართლე რომ ვსთქვათ, ყველა ზემოხსენებული იარაღი მუქთათ იყო კავკასიიდან გამოგზავნილი, ცხრა მაუზერი კერძო საკუთრებას შეადგენდა, ფული კი (7000 მან.) მირზა-ქერიმ-ხანმა, რომელიც ბაქოში იყო ვითომდა იარაღის სასყიდლათ, ბაქოელ შანსონეტკებში გაფლანგაო ამბობდენ და თოთხმეტ იანვარს თვითონაც დაბრუნდა რეშტში. მისი დაბრუნება კი ამტკიცებდა, რომ მეტი იარაღის ლოდინი ტყუილი იქნებოდა. კავკასიელები იძულებულნი ხდებოდენ ამ უმნიშვნელო იარაღით დაკმაყოფილებულიყვენ.

აფეთქების ამბავს, როგორც ეტყობოდა, გუბერნატორამდე მიეღწია, მაგრამ ჯერ-ჯერობით ხმას არ იღებდა. ასე, ექვს თუ შვიდ იანვარში, გუბერნატორმა შესყიდულ კაცებს მოაკვლევინა თავრიზელი სეიდი რევოლიუციონერი, რომელიც ხალხს ძალიან უყვარდა და პატივს სცემდა.

ამ საშუალებით გუბერნატორს სურდა ესარგებლა დროთი, მუიზამ-სულთანის სასახლიდან გამოეტყუებინა რევოლიუციონერები და, რა თქმა უნდა, კიდევაც გაიმარჯვებდა, მაგრამ რევოლიუციონერები ძალიან ფრთხილათ მოიქცენ, მიუხვდენ გუბერნატორის ოინს და უფრო ფხიზლათ შეუდგენ საქმეს და თვალყურის დევნება დაუწყეს გუბერნატორს.

თავრიზელები, რომელთა რიცხვი რეშტში შვიდი ათას კაცს აღემატება, ძალზედ გაბრაზა გუბერნატორის პროვოკატორულმა საქციელმა და მკვლელები მოსთხოვეს, რადგანაც მკვლელები თავის სასახლეში დამალა, რაზედაც გუბერნატორმა უარი განაცხადა, მხოლოდ შეჰპირდა დამნაშავის აღმოჩენას და ღირსეულათ დასჯას.

თავრიზელები მაინც არ სცხრებოდენ ამის შემდეგ გუბერნატორი 300—400 ყაზახ-სარბაზს სასახლიდან არ იშორებდა და მუდამ მზათ იყო მტერს დახვედროდა, თვალყურს ადევნებდა რეშტში ჩასულ უცხო ხალხს და როგორც კი გაიგო მირზა-ქერიმ-ხანის ბაქოდან დაბრუნება, მაშინვე დაიბარა მუიზამ-სულთანი და გამოჰკითხა ძმის რეშტში დაბრუნების მიზეზი, რომელმაც დაარწმუნა რომ ვითომ ქერიმ-ხანი რეშტში საქმიოთ იყო და რეშტში რამდენიმე დღით დაბრუნდა და ცუდს, მთავრობის წინააღმდეგს, არაფერს ჩაიდენდა.

როდესაც გუბერნატორმა მუიზამ-სულთანი დაიბარა, ყველა, და თვით მუიზამ-სულთანი ძალიან შეფიქრიანდენ, ვერავის წარმოედგინა თუ რისთვის იბარებდა. თვით მუიზამ-სულთანმა რჩევა ითხოვა. გაიმართა კრება, რომელმაც გადასწყვიტა წასულიყო მუიზამ-სულთანი გუბერნატორთან. ჯგუფი შეიარაღებული მზათ ყოფილიყო და თუ მუიზამ-სულთანი აღარ დაბრუნდებოდა გუბერნატორი მას დაატუსაღებდა, მაშინ „გურჯები" პირდაპირ სასახლეს დაეცემოდენ.

გაისტუმრეს მუიზამ-სულთანი, და ყველანი გულის ფანცქალით ელოდენ, რით გათავდებოდა საქმე, მაგრამ არ გასულა ორი საათი—მუიზამ-სულთანი მშვიდობით დაბრუნდა და ყველას ღიმილით უამბო ნალაპარაკევი რის შემდეგაც ყველა დამშვიდდა და ისევ შეუდგენ მზადებას.

ცხრა იანვარს, როგორც ვიცით, მაჰმადიანებმა „შახსეი-ვახსეის" დღეობა იციან. ყველა ჭეშმარიტი მორწმუნე „ალი-გუსეინისა" შეიარაღებულია ხანჯლებით და თავებს იჩეხავენ.

რეშტშიაც ხალხი დიდ მზადებაში იყო. დილიდანვე რამდენიმე ათი ათასმა კაცმა მოიყარა თავი შუა ქალაქში და დაიწყო თავების ჩეხვა ჩვეულებისამებრ. „შახსეი-ვახსეის" შემდეგ ბრბო უნდა მისალოცათ მისულიყო გუბერნატორის სასახლესთან. გუბერნატორი თავისას არ იშლიდა. მას ეგონა, რომ ბრბო სამაგიეროს გადაუხდიდა, მოკლულ სეიდის სისხლს არ აპატიებდენ და როდესაც ხალხი სასახლესთან მივიდოდა, გუბერნატორს დაეცემოდენ, ამისათვის, რაც ქალაქში ჯარი იყო, ყველამ თავი მოიყარა სასახლის წინ და ბრბოს ელოდებოდა. კავკასიელების რჩევ თ ბრბო წყნარათ დაიშალა და სასახლეს ახლოს არა მიჰკარებია.

თუმცა გუბერნატორი ბრბოს უფრთხილდებოდა, მაგრამ ის კი არ იცოდა და ვერავინ ჰხედავდა, რომ უფრო დიდი საფრთხე მოელოდა ას 4—5 უცხოელისაგან, რომლებმაც, ისარგებლეს რა ნაციონალური დღეობით, ჩაერივნენ სასახლის წინ მდგომ ჯარში და გაფაციცებით შესავალ-გასავალ კარების თვალიერებას და გეგმის შემუშავებას შეუდგენ. პირ-ღია, ცხვრებივით უაზრო, დაღლეტილ-დაფლეთილი სარბაზები, რომელთაც სასახლის წინ რამდენიმე ალაგს ცეცხლი ენთოთ, გაციებულ ხელ-ფეხს ითბობდენ და ყალიონს შეექცეოდენ, არავითარ ყურადღებას არ აქცევდენ უცხო სტუმრებს, რომლებიც თითქმის ორი საათი დასტრიალებდენ სასახლეს, გარს უვლიდენ და ასე გასინჯეთ, ზარბაზნებსაც კი სინჯავდენ, თუ რომელი სისტემისააო. ესენი იყვენ ზემოხსენებული სამხედრო შტაბის წევრი რევოლიუციონერები.

რადგანაც 9 იანვრის დღეობამ მშვიდობიანათ ჩაიარა და ხმაც არავის ამოუღია, გუბერნატორი დარწმუნდა, რომ მომავალში ისე საშიში აღარაფერი იყო. დარაჯთა რიცხვი ერთი ათათ შეამცირა და ოთხი ხუთი მცველით დაიწყო ქალაქში სეირნობა და ქეიფი.

შტაბს კი არ ეძინა. შვიდი კაცი თავრიზელებიც შეუერთდა მათ. ცხრა თოფიც რეშტში იშოვა კომიტეტმა. ასე რომ, რამდენიმე დღის შემდეგ აჯანყება მოსალოდნელი იყო.

12 იანვრიდან სულ მუდამ დღე კრება იყო და იმის თათბირში იყვენ, როდის გასულიყვენ საბრძოლველათ. ბევრს უიარაღობა აფიქრებდა და მოცდას ურჩევდა ამხანაგებს, მაგრამ რას იზამდენ, როდესაც მუიზამ-სულთანმა განაცხადა, რომ მეტი იარაღის შეძენა შეუძლებელიაო, ამისათვის უნდა აჩქარებულიყვენ თავდასასხმელათ მზადებისათვის.

რამდენიმე კრებაზე კომიტეტის წევრებიც დაესწრენ, მაგრამ ყველაზე საინტერესო ოცდახუთ იანვრის კრება იყო მუიზამ-სულთანის სასახლეში, რომელზედაც დაესწრენ დაშნაკელების წარმომადგენელნი. მათ შორის ეფრემაც. ამ კრებაზე მათ „დუ-შაში" ვერ მოუვიდათ და ჩვეულებრივი ზნე-ჩვეულება გულ-ჩაკეტილობა ვერ გამოიჩინეს და მთელ პარტიას ნიღაბი ჩამოჰხადეს.

კრების გახსნისას პირველსავე შეხვედრაზე ეტყობოდათ მათ, რომ რაღაც ჰქონდათ სათქმელი, მაგრამ თითქოს ვერ ახერხებდენ. მალე მათ წამოაყენეს გეგმა სასახლისა და რამდენიმე ქუჩისა, სადაც ბრძოლა აუცილებელი იყო. მათი აზრით სანამ სამოცი საუკეთესო მებრძოლი არ იქნებოდა, ბრძოლა ფიქრშიც მოსასვლელი არ იყო. ამ რიცხვში ჩვიდმეტი მარტო ყუმბარის მსროლელი უნდა ყოფილიყო. რა თქმა უნდა, კავკასიელები, დაშნაკელებს ხრიკებს მიუხვდენ. ეს გეგმა იმისათვის იყო საჭირო მათთვის, რომ კავკასიელები, ე. ი., გურჯები ვერ შესძლებდენ სამოცი კაცის მოგროვებას და ამას მიანდობდენ დროშაკელებს, რომელთაც ყოველ დროს

## ალყა შემორტყმული ბერლინი.

კვირა დღეა. სატახტო ქალაქი იღვიძებს სქელ ნისლში გახვეული. დიდებულ პროტესტის დღეა. პროლეტარული, დემოკრატიული და ლიბერალური ბერლინი მანიფესტაციას მართავს მთავრობის ახალი საარჩევნო რეფორმის წინააღმდეგ. გათენებისათანავე ვეებერთელა ქალაქი 3 მილიონი მცხოვრებით სამხედრო ბანაკს დაემსგავსა. ძლიერი რაზმები ქვეითი და ცხენოსანი პოლიციელებისა, კავალერისტებისა და ჟანდარმებისა ყოველ ფეხის გადადგმაზე დგანან. მათ უკვე დაჭერილი აქვთ მოედნები, ქუჩები, ხიდები და ვიწრო გასავლელი ადგილები. ნისლი შავ ზეწარსავით გადაფარებია თავს ბერლინს და მზის სხივებს საშვალებას არ აძლევს ქალაქში ჩაიხედოს. ქუჩებზე სამარისებური სიჩუმეა, რომელიც ძალიან ეხამუშება მუდამ ხმაურობასა და ყიჟინას მიჩვეულ სმენას. მხოლოდ წითელი განცხადებები და ვეებერთელა პლაკატები არშინის სიგრძე საპროტესტო მოწოდებებით აშკარათ მოწმობენ, რომ დღეს აუცილებლათ რაღაც უნდა მოხდეს. ამ ვეებერთელა პლაკატებს შორის გაკრულია პოლიციის ცირკულიარებიც, რომელიც ხალხს დემონსტრაციების გამართვას უკრძალავს და ტყვიებით და ხიშტებით ემუქრება.

მოღუშული შუცმანები და ლინჯი კომისარები საომარ ფორმაში გამოწყობილნი, თვალებამდე ჩაფხუტ ჩამოფარებულნი, გზა ჯვარედინებზე ჯგუფ-ჯგუფებათ დაყოფილან და გამვლელ-გამომვლელთ ეჭვის თვალით შესცქერიან.

რუდოლფ მარტინთან ერთათ მეწინადღითვე გადავსწყვიტე ალყა შემორტყმული ბერლინი შემომევლო. დილის ათ საათზე ჩვენი ავტომობილი შარლოტენბურგისაკენ გაქანდა. აქ დანიშნულია დემოკრატების საპროტესტო კრებები. ორატორებათ გამოდიან ცნობილი კრიმინალისტი პროფესორი ლისტი, ფრიდრიხ ნაუმანი და ფონ გერლახი. საკრებულო დარბაზის მახლობლათ მდებარე ქუჩა პოლიციელებს გაუკავებიათ. დარბაზში მიმავალ ხალხს არ უშვებენ, რადგან ის უკვე ძალზე გაჭედილია. პოლიციელები ზდილობიანათ, მაგრამ ენერგიულათ ერეკებიან ქუჩაში შეგროვილ ხალხს. ჩვენი ავტომობილიც გააჩერეს. ბოქაული ჩვენ შოფერს ბძანებას აძლევს ავტომობილი უკანვე გააბრუნოს. არავითარ ახსნა-განმარტებას არ ისმენს! ვიღებ ჯიბიდან ჯადოს, უცხო სახელმწიფოთა ბეჭდვითი სიტყვის კავშირის ბილეთს,—პოლიციელთა წრე მყისვე იხსნება.

— უცხო სახელმწიფოს ჟურნალისტი ყოფილა, მიბრძანდით!

აფიცერი კოხტათ მიიდებს გაშლილ თითებს ქუდზე, და ჩვენი შოფერიც გამარჯვებული მიაყენებს ავტომობილს შენობის კიბესთან.

ჩვენ დავიგვიანეთ. უზარ-მაზარი დარბაზი, ქანდარები და ლოჟები ხალხით გაჭედილია. დიდი წვალების შემდეგ როგორც იქნა შევედით დარბაზში. საშინელი სივიწროვეა. ათასი ადამიანის ამონასუნთქი სქელ ბუღათ გამდგარა დარბაზში, შესვლისთანავე სული გვეხუთება და თავი გვიმძიმდება. ტრიბუნაზე სდგას პროფესორი ლისტი, მოხუცებული დემოკრატი. ის ლაპარაკობს აღელვებით, გატაცებით.

— ჩვენ იუნკრებს ნებას არ მივსცემთ, რომ მძიმე უღელი დაგვადგან კისერზე. რეაქციამ ჩვენ ომი გამოგვიცხადა. თუ მთავრობის რეფორმა გავიდა, გერმანია რევოლიუციას ვერ ასცდება. ჩვენ მანამდის უნდა ვიყვიროთ, სანამ ჩვენსას არ გავიტანთ. ჩვენი ვალია—ბოლომდის, სანამ არ გავიმარჯვებთ შეუდრეკლათ ვიბრძოლოთ. პრუსიას დღეს მთელი განათლებული კაცობრიობა შესცქერის. სირცხვილი და ლაფის დასხმა ჩვენი, რომ რეაქციამ გვაჯობოს.

ძველი პროფესორი, გერმან. მეცნიერების სიამაყე, ახალგაზდური გატაცებით ლაპარაკობს. ყოველ მის მოხდენილ სიტყვას ტაშისცემით ეგებება აუდიტორია. მსმენლები თავს ძლიერ იკავებენ, ნერვები ყველას ძალზე აქვს დაჭიმული. გგონიათ, აი კიდევ ერთი წამიც და ხალხი ქუჩაზე გავარდება, ქვაფენილს აყრის, ბარიკადებს ააგებს და პოლიციელებს სამოქალაქო ომს გამოუცხადებს. ჩვენ აქ მცირე ხნით ვრჩებით.

აქედან გავემგზავრეთ ბერლინის ჩდილოეთ მხარისაკენ, სადაც მუშების სამფლობელოა. იქ სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობით გამართულია 44 მიტინგი. ბერლინის ცენტრი სამარეს დამსგავსებია. ლეიპციგის, ფრიდრიხის და და უნტენ-დენ-ლინდენის ქუჩებს—უდაბნოების სახე მიუღიათ. პოლიციელთა და გადაცმულ შპიკებს გარდა ვერავის შეხვდებით. გავლა ძალიან გვიჭირდება. სასახლის მოედანს, მეფის სასახლეს და ახლო-მახლო მდებარე ადგილებს სამ რიგ ჩამოწკრივებული პოლიციელთა რაზმები იცავენ. აქ ყოველგვარი მოძრაობა შეწყვეტილია. მიუხედავათ ამისა, ჩემი ჯადო (ბილეთი) აქაც სასწაულებრივ მოქმედობს.

— წავიდეთ სასახლეში, იქ საგულისხმიერო სურათს გაჩვენებ,—მეუბნება ჩემი თანამგზავრი.

წავედით... თოფ-ხანასთან ჩვენ ხელახლავე გაგვაჩერეს, ვინაობა გამოგვკითხეს და შემდეგ გზა დაგვიცალეს.

მივადექით დაძველებულ სასახლეს, რომელსაც ბრანდებურგის მარკ-გრაფები და კურფირსტებიც კი უნახავს. სასახლის თავზე აღმართულია გოგენცოლერნთა შტანდარტი,—რომელიც მოწმობს, რომ მეფე სასახლეშია. სასახლის ჭიშკართან ავტომობილიდან გადმოვედით და ფეხით გავემართეთ სასახლისაკენ. მივედით სასახლესთან. სასახლის ქვედა სართულის რკინით ჩაჭედილ ფანჯრებიდან ნათლათ მოსჩანს გვარდიის ორი პოლკი სრული სამხედრო მოწყობილობით. ჩამწკრივებული დარაჯები და აფიცრები ნათლათ მოწმობენ, რომ სასახლე სერიოზულ შიშის მოლოდინშია. მეფის თვალში და ეზოს უკანა ნაწილში მოთავსებულ თოფ-ხანაში მოთავსებულია დრაგუნის ოთხი ესკადრონი. ყველანი ბრძანებისთანავე მზათ არიან შინაურ მტრებზე იერიში მიიტანონ.

ჩვენ ყველაფერს ვათვალიერებთ, შეხვედრილებს კითხვას ვაძლევთ. ჩემი ჯადო ბილეთი ყველგან დაუფასებელ სამსახურს მიწევს.

— დაინახეთ?—მეკითხება მარტინი.

— დავინახე!..

— ახლა თქვენ თვითონაც შეგიძლიათ დააფასოთ დემონსტრაციების მნიშვნელობა! ნუ დაუჯერებთ მთავრობის განცხადებას, ვითომ მას ქუჩის არ ეშინოდეს. ეს სახაზინო (казенная) სიცრუეა.

მეც უსიტყვოთ ვეთანხმები.

მუშათა უბნებში სიცოცხლის ყოველგვარი ნიშან-წყალი გამქრალა. აქ პოლიციელები უფრო უზრდელათ და მკაცრათ გვეპყრობიან. ჩვენ ყოველ მოსახვევში გვაჩერებენ. ჩვენ გვშველის ცილინდრები, ავტომობილი და კეთილმოაზრე ბიურგერების შეხედულება. შენობები, სადაც კრებები ხდება, ქვეითი და ცხენოსანთა პოლიციელების სქელი რაზმებით არის გარს შემორტყმული. ჩვენ ძალიან გაგვიჭირდა კრებებზე შესვლა. მსმენელები თითქმის ყველანი მუშებია. მაზოლიანი ხელები, გამურული სახეები და რაღაც არა ჩვეულებრივი ცეცხლის მფრქვეველი თვალები. ჩვენ გონივრულათ მოვიქცევით, ცილინდრები და პალტოები დერეფანში დავსტოვეთ. აქ ადვილათ შეიძლება ჩვენი ტანისამოსით შპიკათ მიგვიღონ და გვერდებ მოზელილი გამოგვშვან უკან.

ლაპარაკობს დეპუტატი ლედებური. ორატორს თხელი პირისახე და ფოლადისავით მკვეთრი ხმა აქვს. ყოველი მისი სიტყვა—სასტიკი ლახტის ცემაა მთავრო-

ბის უფროსებთან მოსალაპარაკებლათ. ეს გემები საბერძნეთში გაგზავნილია მფარველი სახელმწიფოებისაგან.

„რეჩის“ გადმოცემით, ფლოტის აჯანყება გამოიწვია იმ ზომებმა, რომელიც სამხედრო ლიგის მოთხოვნილებით გატარებულ იქნა საზღვაო აფიცრების წინააღმდეგ. 2 თვის წინათ პარლამენტმა დაადგინა სამსახურიდან გადააყენოს ყველა საზღვაო აფიცრები, რომელთაც საჭირო განათლება არ აქვთ მიღებული. ამ ჟამათ სამხედრო ლიგამ მოითხოვა ამ კანონის განხორციელება, რაც შედეგათ მოყვა მეზღვაურ აფიცერთა აჯანყება.

## ახალი ამბები

✦ **ქალაქის საბჭო.** ორშაბათს, 8 თებერვალს, შესდგა ქალაქის საბჭოს სხდომა. საბჭომ მოისმინა გამგეობის მოხსენება მირზოევის შესახებ, რომ ის უარს აცხადებს მომხდარ „ინცინდენტის“ გამო თავის მართლებაზე ეს განცხადება საბჭომ მხედველობაში მიიღო და დაადგინა: ქალაქის საბჭოს მიერ გაკიცხვა გამოეცხადოს თფილისის ტრამვაის დირექციას, იმ ბოროტმოქმედებისთვის, რომელიც დირექციასა და ხმოსან მირზოევს შორის დამოკიდებულებაში გამოიხატა. ეს დადგენილება ეცნობოს შინაგან საქმეთა და ფინანსის მინისტრებს. ეცნობოს აგრეთვე უსახელო საზოგადოების ცენტრალურ გამგეობასაც. საბჭომ დაადგინა, მიეცეს ავათმყოფ ნ. ჩერქეზიშვილს წინდაწინ $2\frac{1}{2}$ თვის ჯამაგირი—1500 მანეთი.

✦ **სახალხო უნივერსიტეტი.** ორშაბათს, 8 თებერვალს, შესდგა სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წევრთა კრება. რადგან ახლო მომავალში სახ. უნივ. საზოგადოების წევრთა კრება მოხდება, ამიტომ გამგეობამ თავის 2 წევრს ანგარიშის შედგენა მიანდო: გამგეობის თავმჯდომარეს ვ. ი. რცხილაძეს—1908 წ. და ი. კახუხოვს—1909 წ. ანგარიშები. გადაწყდა, გამგეობის სხდომები ორშაბათობით საღამოს 6 ს. ხდებოდეს.

✦ **თფილისში ფაინს მოელიან.** როგორც გადმოგვცეს, ამ დღეებში თფილისში ჩამოვა ბელგიის უსახელო საზოგადოების მთავარი რწმუნებული ფაინი, რომლის ჩამოსვლას თფილისში დამოკიდებულება აქვს ეგრეთ წოდებულ „მირზოევ-ბატაილის“ საქმესთან.

✦ **მღვ. ჯიჯავაძე და პურიშკევიჩი.** ახლო მომავალში მინისტრთა საბჭოში გაირჩევა საქმე მღვ. ჯიჯავაძისა, რომელიც დეპუტატ პურიშკევიჩს უჩივის. ამ საქმეს დამოკიდებულება აქვს პეტერსონ-პურიშკევიჩის ცნობილ საქმესთან. მღ. ჯიჯავაძემ უმაღლესათ საჩივარი აღძრა დეპუტატ პურიშკევიჩზე, რომელმაც საქართ. ექსარხოსის მკვლელობის საქმის გარჩევის დროს დუმაში, მღვ. ჯიჯავაძე [illegible] მოიხსენია, რომ [illegible] მკვლელობაში [illegible] მონაწილეობას ღებულობდაო. (რ. ს.)

✦ **ქალაქის სასკოლო კომისიამ** დაადგინა და დადგენილება ქალაქ. გამგეობას წარუდგინა საბჭოს მოსახსენებლათ, რომ კორგანოვისა და ალიბეგოვის მიერ შემოწირული 20,000 მ. ქალაქის პირველ-დაწყებით სასკოლო შენობების აგებას მოხმარდეს.

✦ **რედაქციამ მიიღო** შემდეგი წერილი: დიდათ დაგვამწუხრა ძვირფასი ამხანაგ ალექსანდრე ბახტაძის უდროოთ გადაცვალებამ. დაუვიწყარი იქნება ჩვენს გულში მისი ხსოვნა. გრიშა რატიანი, ევგენი კაკაბაძე, კოწია ფარცხალაძე, ილია მამფორია.

✦ **თოვლი.** გუშინ, 9 თებერვალს, თფილისში თოვლი მოვიდა მთელი დღე თოვდა. არ სცივა.

✦ **ქალაქის საბჭოს იურიდიულ კომისიის** სხდომა შესდგა შაბათს, 6 თებერვალს. კომისიამ განიხილა საკითხი, თუ რამდენათ შესაფერია ხმოსნისთვის ქალაქის წინააღმდეგ საჩივრები აწარმოოს. თუმცა არავითარი კანონი არ არსებობს ამ საკითხის შესახებ, მაგრამ იურიდიულ კომისიამ მაინც არა სასურველათ იცნო ხმოსნის ამგვარი საქციელი; გარდა, ამისა კომისიის აზრით, ხმოსანი ქალაქის თვითმართველობაში არ უნდა მსახურებდეს, ქალაქიდან ჯამაგირს არ უნდა ღებულობდეს. სასურველი არაა ქალაქის თვითმართველობაში ორი ძმა მსახურებდეს—ერთი ჯამაგირზე და მეორე უჯამაგიროთ; არ შეიძლება ქალაქის ხმოსანი, ხმოსნობასთან ერთათ ქალაქის იურისკონსულტობასაც ასრულებდეს. არც ისაა სასურველი, რომ ხმოსანი ქალაქის საქმეებს იჯარით ღებულობდეს.

✦ **ტრამვაის ბილეთები.** ქალაქის სანიტარებს სამოგზავრო ბილეთებისათვის ყოველწლიურათ—25 მ. ეძლევა ქალაქიდან. სანიტარებმა ბატაილს მიმართეს თხოვნით, დაუთმოს მათ ტრამვაის წლიური ბილეთები 25 მ. ბატაილმა თანხმობა განაცხადა, იმ პირობით, თუ ამის შესახებ თვით ქალაქის გამგეობა იშუამდგომლებს დირექციის წინაშე.

✦ **საფოსტო განყოფილება სოფლათ.** 27 ვერსის მანძილზე მოშორებით ქალაქ ზუგდიდიდან, ს. წალენჯიხაში (ქუთ გუბ.) დაარსდა საფოსტო განყოფილება.

✦ **ი. გ. ჭავჭავაძის ბიუსტი** უკვე დაუმთავრებიათ პარიზში; ბიუსტს მალე თფილისში გამოგზავნიან.

✦ **პოეტი ქვლოშვილი,** (ხოსიტაშვილი) რომელიც 5 თვეა მეტეხის ციხეში იმყო-

---

შეეძლოთ ასი მებრძოლი ეშოვათ და უმთავრეს როლებს ისინი შეასრულებდენ. როდესაც გეგმით ვერაფერს გახდენ, შემოიტანეს შემდეგი განცხადება: „ჩვენ, დროშაკელები არ ვსცნობთ არჩეულ შტაბის წევრებს, რომლებმაც არ იციან აქაური პირობები. მოვითხოვთ გაუქმებულ იქნას შტაბი, აირჩეს ახალი წევრები, რიცხვით ცხრა კაცი. ამ რიცხვში ოთხი სპარსელი იყვეს, ხუთი კი დაშნაკცაკანი. ჩამოსული ქართველების ჯგუფი უნდა მოქმედებდეს ჩვენი ხელმძღვანელობით, და არა ჩვენ მათი ხელმძღვანელობით როგორც ეხლა... მთელი ქონება შტაბისა გადმოგვცეს ჩვენ დროშაკელებს, უკანასკნელ შემთხვევაში ჩვენ იძულებული ვხდებით არავითარი მონაწილეობა არ მივიღოთ აჯანყებაში“-ო.

ზემოხსენებული სიტყვები ისეთი რიხიანათ იყო წარმოთქმული, თითქოს დროშაკელებზე ყოფილიყოს დამოკიდებული აჯანყების და გამარჯვების ბედიღბალი!

სად იყვენ წინათ? რაღა უკანასკნელ საათებში მოისურვეს გაზიარება ამ საძრახისი განცხადებისა? ან კიდევ, თუ მართლა სურდათ რამე, რას აკეთებდენ ადრე?

დროშაკელების მოთხოვნილებამ ყველა ააღელვა და გააწითლა. ერთმა რაზმელმა გურჯმა სასტიკი პასუხი გასცა დროშაკელებს, რომელთაც უწოდა: ანტი-რევოლიუციონერები და ვინ იცის კიდევ რას ეტყოდა, რომ ეფრემს კრებიდან არ გაქცეულიყო. დანარჩენმა დროშაკელებმა კი მოითხოვეს კრება მეორე დღისათვის (26 იანვ. 2 საათ.) გადაედოთ. ეფრემიც დაამშვიდეს, რომელმაც განაცხადა, რომ სხვანაირათ მინდოდა მეთქვა, მაგრამ თქვენ ვერ მიხვდითო... სპარსელებმა, როდესაც გურჯირაზმელის სიტყვები მოისმინეს თარჯიმანის საშუალებით, ტაშის ცემით კოცნით და „იაშასუნ გურჯის“ ძახილით კრება დახურეს...

შტაბის წევრებმა აცნობეს დანარჩენ ამხანაგებს დროშაკელების განცხადება, რამაც კრების გახსნა გამოიწვია.

მცირე ხნის სჯა-ბაასის შემდეგ კრებამ გადასწყვიტა არავითარი კავშირი და დახმარება არ ეთხოვათ დროშაკელებისათვის და მეორე დღეს ღამე მარტო გასულიყვენ საბრძოლველად. დაე გავწყდეთ ამხანაგებო! გაუმარჯოს თავისუფლებას! ერთხმად იგრიალა ერთ მუჭა ჯგუფმა და ძმურად გადაჰკოცნეს ერთმანეთი.

იქვე მდგომ მუიზამ-სულთანს სიხარულის ცრემლები წასკდა და ხმის ამოუღებლად ერთი ალაგიდან ვერ იძროდა და შეჰყურებდა მათ...

ამ კრებაზე მართლა სასაცილო წინადადებებიც შემოიტანეს ზოგიერთებმა. ერთმა მაგალითად განაცხადა, რომ სანამ საცვლებს არ უშოვნიან ყველას, ბრძოლა შეუძლებელია, რამაც სიცილ-ხარხარი გამოიწვია...

თუმცა გვიან იყო, მარა კრების შემდეგ არავის დაუძინია. ზოგი იარაღს სწმენდდა, ზოგი პატრონტაშს იკერავდა და ზოგიც ეხლა კი გაბედულათ ნანას სიმღერით მომუშავე ამხანაგებს ართობდა.

თენდებოდა, როდესაც ყველას მიეძინა. მეორე დღეს (26 იანვარს) ეს საისტორიო გმირები, ტანისამოს გაუხდელნი იქვე ხალიჩაზე გაშხლართულიყვენ ხელიხელ გადახვეულნი და მძინარეთ ტუჩებზე ღიმილი უთამაშებდათ...

26 იანვარს რვა საათზე ყველანი წამოიშალენ. იარაღი დარიგდა. სულ 29 მებრძოლმა მოიყარა თავი. თითო მაუზერზე 120 პატრონა იყო, თოფზე 80—90 და 43 მზა ყუმბარა. აი ამ იარაღით უნდა ებრძოლა ოცდა ცხრა კაცს შვიდას სამოცთან! (რიცხვი შემოწმებულია ავტ.)

პირველი საათი იყო, როდესაც რევოლიუციონერების ოთახში ფერმიხდილი შეიჭრა მირზა-ალი-მამედ-ხანი და ათრთოლებული ხმით წამოიძახა: „რეშტის გუბერნატორი ქალაქ გარეთ ბაღში „ბაღ მუდრიე“—გაემგზავრა საქეიფოთ... სულ ოთხი ხუთი დარაჯი ახლავს... დრრროაო...

ამ სიტყვების გაგონებაზე ყველამ ყურები აცქვიტა, ყველამ კარგად იცოდა რას ნიშნავდა სიტყვა „დროა“.

კენჭის ყრით შვიდი კაცი მოემზადა გუბერნატორზე თავდასასხმელათ. ამათში ერთი რუსის გარდა ყველა ქართველები იყვენ. გუბერნატორზე თავდასხმა და წასვლა ყველას უნდა. $1\frac{1}{2}$ საათზე შვიდი რაზმელი მზად არის. გარედან თათრული წამოსასხამები ასხიათ, შიგნით იარაღი აქვთ ამოფარებული. ყველას თათრული ქუდები ახურავთ. ჩქარი ნაბიჯით გადიან მუიზამ-სულთანითურთ, რომელმაც უნდა აჩვენოს ბაღის შესავალ-გასავალი კარები. გამარჯვების ნიშანი (თუ გუბერნატორს მოჰკლავენ.) ყუმბარის გრიალია. რის გაგონებაზედ დანარჩენები გამოვლენ და სასახლეს დაეცემიან.

დანარჩენებიც მზად არიან, ეზოში თავმოყრილნი უცდიან ყუმბარის გრიალს.

არ გასულა ათი წუთი, რომ იგრიალა ყუმბარამ, გაიღო ეზოს კარი და ყველა გაცვივდენ გარეთ და ადრევე მომზადებულ ეტლებისაკენ გაექანენ.

რაზმის დანახვაზედ ხალხი შეშინებული უგზო-უკვლოდ გარბის, მაგრამ ცნობილ ორატორ ქესმაის დანახვაზედ ყველა შეჩერდა, გავარდა თოფი... ზედ მოჰყვა შეუწყვეტელი სროლა...

„იაშასუნ მაშრუტაა...“ „გაუმარჯოს კონსტიტუციას“ მოისმა ქესშაის ხმა. ამ ხმაზედ თავრიზელებიც ყვირილით, კეტებით ხელში, რევოლიუციონერებთან ერთად გაქანდენ სასახლისაკენ, მაგრამ იქვე ქუჩაში გზა შეუკრეს სარბაზებმა და სროლა აუტეხეს. რაზმი უმალ შემოერტყა სარბაზების ყაზარმას. რამდენიმე შევარდა შიგ და არ გასულა რამდენიმე წამი, რომ ოცამდე სარბაზს იარაღი აჰყარეს, ოთხი იქვე მოჰკლეს და წინ გასწიეს...

როდესაც შვიდი წასული რაზმელი ბაღს მიუახლოვდენ, სადაც გუბერნატორი იმყოფებოდა, ყველანი სირბილით შეცვივდენ სასახლეში. მათ თვალწინ წარმოუდგათ მდიდრულათ, როგორც შეეფერება სპარსელ ხანს, მორთული ოთხ-დარბაზი, ძვირფასი ხალიჩებით შემკული და შუა დარბაზში სტოლი, გარს შემოსხდომოდენ 5—6 დიდი მოხელე ხანი, მათ შორის გუბერნატორიც და გაცხარებული ქაღალდს თამაშობდენ... გაიღო თუ არა დარბაზის კარი მოისმა მედგარი ხმა: „НИ СЪ МѢСТѢ“... რასაც ზედ მოჰყვა მაუზერის წკრიალი. ხმის გაგონებაზე ყველა გაფითრებული წამოცვივნდენ და აქეთ იქით გაიფანტენ. გუბერნატორი კარებისაკენ გამოქანდა, შუბლით დაეჯახა კარებში მიმავალ მუიზამ-სულთანს და ორივენი გაიშხლართენ.

„ჯალათო! ვერ წამიხვალ“!.. და წაქცეულ გუბერნატორს ათი ტყვია ზედი ზედ დააყარა რაზმელმა.

მოჰკლეს ორი სხვა მოხელეც. ეხლა ჯერი მიდა დარაჯ-ყაზახზედ, რომელსაც ორი ხელით მაგრა ეჭირა მშვენიერი ვერცხლით მოჭედილი მაუზერის თოფი და რაღაცას ლუღლუღებდა „ვერ—თოფანგ“, „მოიტა თოფი“—და სანამ დარაჯი მოახერხებდა რამეს თქმას, მოხვედრილმა ტყვიამ უსულოდ დასცა ყაზახი... და ყუმბარამაც მაშინ იგრიალა. ყუმბარის აფეთქების შემდეგ, როდესაც მათ სამაგიერო სროლა შემოესმათ ქალაქიდან, ყველანი სასახლისაკენ გაქანდენ.

რაზმმა თუმცა მალე მიაღწია მას, მაგრამ დარხანაში ჩასაფრებულმა ჯარმა, რომელიც ხუთ სასროლიანი ავსტრიის ვინტოვკებით იყო შეიარაღებული ზალპების სროლით გზა შეუკრა.

ვინც ქუჩაზე გაასწრო ჩასაფრდა იქვე მეჩეთის გალავანში და ორივ მხრივ სროლა გაჩაღდა. იგრიალა პირველმა ყუმბარამ... გამოჩდენ წასული რაზმელები... ოთხი ხუთი დროშაკელიც, მათ შორის ეფრემიც მოიჭრენ და საყვედურით, სხვებთან ერთად დაიწყეს ბრძოლა. კიდევ იგრიალა რამდენიმე ყუმბარამ... მუხლში მძიმედ დაიჭრა შავლა დოლიძე, რომელმაც მაინც კიდევ მოასწრო ყუმბარაში შუშის ჩაშვება და გადასროლას აპირებდა, მაგრამ მეტი სისხლის დენით დასუსტებულს ხელები აუკანკალდა და წასაქცევათ გადიხარა... იგრიალა მის ხელში ყუმბარამ და შუა გაგლიჯა ის...

მისმა ამ გვარმა სიკვდილმა ყველა გააფთრა. და გაშმაგებულნი გაექანენ წინ.

შვიდმა რვა რაზმელმა ვეებერთელა სასახლეს, რომელიც გადაჭიმულია 5—7 ქცევა მიწაზე, ეზოში რამდენიმე რიგი კედელი ჩიუდის და გარედანაც ორი საჟენის სიმაღლე კედელი აქვს შემორტყმული, უკანა მხრიდან მოურბინეს, რომლებსაც ალაყაფის კარი დაკეტილი დახვდათ, მაგრამ [illegible] დარაჯი სარბაზები

ფება, „ნ. რ." სიტყვით, შორეულ ციმბირში იგზავნება 5 წლის ვადით.

✦ **ექიმ ივ. გომართელისა და ს. კეკელიძის გასამართლება.** გუშინ სამოსამართლო პალატაში გაირჩა საქმე ივ. გომართელისა და ს. კეკელიძისა. პირველს ბრალდებოდა წერილის შეთხზვა შემდეგი სათაურით: «როგორ გააჩინა ადამიანმა ღმერთი», ხოლო მეორეს—ამ წერილის მოთავსება გაზ. „ალიონში", რომელიც მისი რედაქტორობით გამოდიოდა. შარშან ეს საქმე საოლქო სასამართლოში გაირჩა და სასამართლომ ორივენი გაამართლა, მაგრამ ბრალმდებელმა საქმე პალატაში განასაჩივრა. პალატამ ორივენი დამნაშავეთ იცნო და მიუსაჯა ექიმ ივ. გომართელს—ერთი წლით ციხეში დაპატიმრება და ს. კეკელიძეს სამასი მანეთი ჯარიმა, ანუ სამი თვით დატუსაღება. საქმე დახურულ კარებში გაირჩა. ივ. გომართელს იცავდენ ნაფიცი ვექილები: ი. ა. ბარათაშვილი და მ. ა. კლანკი, კეკელიძეს—სახაზინო ვექილი ბარხუდაროვი.

✦ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ იმ საქველმოქმედო კონცერტს, რომელიც 11 თებერვალს გაიმართება ქ-ნ ვან-ბრანტის მონაწილეობით, არავითარი კავშირი არა აქვს ვან-ბრ-ს გამოსვლასთან ოპერა «ტრავიატაში», რომლის დასწრები ბილეთები გაეგზავნება მუშებს და ხელოსნებს. „ტრავიატაზე" დასასწრები ბილეთების ფასი გადიდებულია.

---

# უკანასკნელი ფოსტა

### სპარსეთი

**სათარხან ბაგირხანის დაჯილდოება.** განმათავისუფლებელი მოძრაობის გმირთა მოღვაწეობის აღსანიშნავათ მეჯლისმა განსაკუთრებული სხდომა გამართა. დეპუტატები პატივითა და ქებით იხსენიებდენ თავიანთ სიტყვებში სათარხანსა და ბაგირ-ხანს. მეჯლისმა ერთხმათ დაადგინა უბოძოს სათარ-ხანს სარდარის ჩინი და წლიურ პენსიათ 6,000 მანეთი აძლიოს, ხოლო ბაგირ-ხანს—4,000 მან.

### საზღვარ გარეთ

**სოციალ-დემოკრატების შეერთება.** როგორც გაზეთ „უტრო როსი"-ას პარიზიდან ატყობინებენ, იქ იანვრის შუა რიცხვებში მომხდარა რუს. ს. დ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენარული სხდომა, რომელსაც დასწრებია ლონდონის სიეზდზე არჩეული 15 ც. კ. წევრი. კრებას დაუდგენია, რომ ბალშევიკები, მენშევიკები და ნაციონალური ჯგუფები შეერთდნენ ერთი პარტიულ ორგანიზაციაში. ამ კითხვის შესახებ რეზოლიუცია კრებას ერთ ხმათ მიუღია.

„პროლეტარის" გამოცემა შესწყდება.

დაადგინეს აგრეთვე საზღვარ გარეთ გაიხსნას პარტიული სკოლა.

იმავე გაზეთის სიტყვით, შეერთების მიდრეკილებამ თავი იჩინა სოციალისტ-რევოლიუციონერთა შორის, რომლებსაც განუზრახავთ სოციალ-დემოკრატებთან შეერთება და ამ მიზნით სურთ პარტიული პროგრამის გადასინჯვა.

### რუსეთი.

**პოლონელი პროვოკატორები.** კრაკოვში დაიწყო დეკერტის, კოზლოვსკის და ბაკალიარჩიკის საქმის გარჩევა, რომელთაც ბრალდებათ ჯაშუშობა პოლიტიკურ და სამხედრო საქმეებში. უმთავრეს ყურადღებას იპყრობს დეკერტი, რომელიც ბერლინის გაზეთის „ლოკალ-ანცაიგერის" და სხვა პოლონურ გაზეთების თანამშრომლათ ყოფილა.

ჯაშუშობა დეკერტს იქიდან დაუწყია, რომ გაზეთ „ნოვინის" შესახებ დანოსი გაუგზავნია. ამ დანოსის გამო გაზეთს ხუთი ათასი კრონი გადახდა. ამის შემდეგ დეკერტი დაინიშნა პრუსიის პოლიტიკურ პოლიციაში აგენტათ, როგორც პოლონური საქმეების კარგი მცოდნე.

დეკერტის წყალობით პრუსიის მთავრობამ დაატუსაღა რამდენიმე პოლონელი საზოგადო მოღვაწე და რამდენიმე კავშირი დახურა. 1908 წ. კოზლოვსკის დახმარებით დეკერტმა რუსეთის მაძიებელ პოლიციაში დაიწყო სამსახური და ცდილობდა პოლონეთში ტერორისტების ჯგუფი შეედგინა.

სასამართლოში საქმის, გარჩევის დროს „ბ. ვ."-ს სიტყვით, დეკერტსა და კოზლოვსკის შორის შეტაკება მომხდარა.

### ახლო აღმოსავლეთი.

**აჯანყება ათინაში.** ათინაში სასტიკი ცენზურა შემოიღეს გაზეთები სამხედრო ლიგის წევრების ზედამხედველობით იბეჭდებიან. საზღვარ-გარეთ გაგზავნილ დეპეშებს იჭერენ. „ბაქოს" გადმოცემით, რამოდენიმა რედაქციამ სამხ. ლიგის ტერორის წინააღმდეგ პროტესტის გამოსაცხადებლათ გაზეთების გამოცემა შესწყვიტა. საბერძნეთის ფლოტი აჯანყდა და პირეი დასტოვა. საპყრობილედან ახლათ განთავისუფლებული კაპიტანი ტიპალდოსი ისევ აჯანყებულებს შეუერთდა.

**სამხედრო ლიგის გადაწყვეტილება.** ვენაში საბერძნეთიდან ცნობები მიუღიათ, რომ სამხედრო ლიგას გადაუწყვეტია საბერძნეთის მომავალ დამფუძნებელ კრებაში მოიწვიოს 30 დეპუტატი კრიტოსის კუნძულიდან. ამ გადაწყვეტილებამ საბერძნეთში დიდი აღელვება გამოიწვია.

**ელჩების თათბირი.** რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის ელჩები ფალერონში გაემართენ სამხედრო გემებისათვის ის მუშებს მოუწოდებს გონიერებისაკენ.

— ამხანაგებო! უფრთხილდით პროვოკაციას! მთავრობას სურს ჩვენ გარეულ ქათმებსავით ტყვიებით დაგვხვრიტოს. უფრთხილდით დემონსტრაციას. ბეტმან-გოლვეგს სურს ჩვენზე შური იძიოს ლანდტაგში „უდიერათ" შეხვედრისათვის. ღვთის გულისათვის, ძალები შეინახეთ!

აუდიტორია ძლივს იჭერს თავს. გრძნობ, საკმარისია შეკრებილთ ლედებურმა ერთი სიტყვით ანიშნოს და გააფთრებული მსმენელები თავგანწირულათ ეკვეთებიან პოლიციელებს.

გონიერებისაკენ მოწოდებას ვისმენდით მუშათა სხვა კრებებზედაც. მთელი დღე დავდიოდით ქალაქში და ყველგან ერთსა და იმავე სურათს ვხედავდით. მხოლოდ ერთ ადგილას გამართეს მუშებმა მშვიდობიანი დემონსტრაცია, მაგრამ პოლიციამ მალე გაფანტა ისინი. შეტაკება ან სისხლის ღვრა თვითონ ბერლინში არ მომხდარა. ამის შესახებ თვით სოციალ-დემოკრატებმა საკმარისათ იზრუნეს. („რ. ს.").

---

ეზოში შესვლისას დაწოლილ-დაჩოქილებმა სხვადასხვა მხრით მისცეს ზალპი სასახლეს, რაზედაც მესამე სართულში ჩამაფრებულმა ყაზახებმა უპასუხეს, მაგრამ ყუმბარის გრიალმა, რომელიც კედელს საშინელი ძალით შეასკდა, სროლა შეაწყვეტინა ყაზახებს. ამით ისარგებლეს რევოლიუციონერებმა და შეცვივდენ ანდარუნში (ქალების სასახლე)

შესვლის უმალ ჩასაფრებულმა ყაზახებმა მოჰკლეს ერთი საუკეთესო რაზმელი პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი-იურისტი ფაშა-ხანი (ბეგლარა.) მისმა სიკვდილმა ყველას გული მოუკლა, ყველა გაბრაზდა, ყველას შეუბრალებლათ ხოცდენ...

მეორე სასახლიდან სარბაზებმა სროლით გზა შეუკრეს და წინ წაწევა შეუძლებელი შეიქნა. კარგა ხნის სროლის შემდეგ ოთხმა რევოლიუციონერებმა მაინც მოასწრო წინა სასახლეში შევარდნა, საიდანაც წინადადება მისცეს სარბაზებს დანებებულიყვნენ, მაგრამ ამაოდ! სარბაზები ლანძღვით უპასუხებდნენ...

როდესაც რევოლიუციონერები ბალკონში იდგნენ და სარბაზებს თოფს ესროდენ სულ წინა სასახლიდან ე. ი. გარედან ექვსჯერ ზედი-ზედ გავარდა ზარბაზანი...

„დავიღუპენით ამხანაგებო! გარშემო ჯარი გვარტყია ეს არის დავმარცხდით!» ვილამაც გადმოიძახა უკანა აღებულ სასახლიდან.

კიდევ სთხოვეს სარბაზებს დანებებულიყვნენ, მაგრმა კიდევ ამაოდ...

„დავწვათ ამხანაგებო სასახლე; დაე დავიხოცნოთ, შერცხვეს ვინც ცოცხალი ჩაუვარდეს ხელში!.. „და იქვე ჭერში ჩამოკიდული ნავთით სავსე ლამფა ძირს მოექცა. რა უეცრად აენთო ნახევარი სასახლისა. იქ ჩასაფრებული სარბაზები მხოლოდ მაშინ მოვიდნენ გონს, როდესაც იქუხა ვეებერთელა შენობამ და 20—25 სარბაზი ქვეშ მოიტანა... „ალლააა... ზინდაბაა მუჯახედინ" (ღმერთო გაუმარჯოს რევოლიუციონერებს) მოისმა ჩაკმენდილი ხმა და 7—8 სარბაზი დაჩოქილები შეეგებენ რევოლიუციონერებს რომლებიც იქვე გაანთავისუფლეს.

წინა სასახლეზედ მისული რაზმი თავ დავიწყებით იბრძვის. თუმცა ზოგს 20—25 პატრონა-ღა დარჩა, მაგრამ დახოცილი სარბაზების თოფებით ინაცვლიან ხელს. მათ არ იციან სად არიან ის ოთხი ამხანაგი, რომლებმაც ცეცხლი წაუკიდეს სასახლეს, და როდესაც კი წინა რაზმმა დაინახა ცეცხლის ალი, მაშინ ყველა მიხვდა რაში იყო საქმე და სიხარულით აღვსილნი იერიშით შეცვივდენ სულ წინა სასახლეში.

ოთხი საათის ბრძოლის შემდეგ მტერი დამარცხდა. რევოლიუციონერებს ხელში ჩაუვარდათ 600 სხვა და სხვა ნაირი თოფი პატრონებით, 4 ზარბაზანი 500 გრანატით, რამდენიმე ცხენი და რაც კი რამ საომარი იარაღი მოიპოვებოდა, დანარჩენი სიმდიდრე ხალხმა (გილანელებმა) წაიღო.

გაანთავისუფლეს წამებული ტუსაღები, რომლებიც ტირილით მუხლ-მოდრეკილები ხელ-ფეხს უკოცნიდნენ გურჯებს.

გაისმა „სვისტოკის" წკრიალი (ნიშანია მოგროვებისა) „ზინდაბაა გურჯი". პირველათ იგრიალა ხალხმა. რამდენიმე კაცი გაექანა უკან სასახლისაკენ ამხანაგებთან და ალტაცების ყიჟინით მაღლა ხელში აწეული გამოიტაცეს გარეთ.

(შემდეგი იქნება.)

**გურჯი სერგო.**

---

# წერილი პეტერბურგიდან

(ქართ. საიუბილეო საღამო).

29 იანვარს აზნაურთა საკრებულოს დარბაზში ქ-ნ იავორსკაიას თაოსნობით და ქართველ სტუდენტთა საბალო კომისიის დახმარებით, გამართულ იქნა ქართული საღამო საკონცერტო განყოფილებით. საღამოზე მოწვეული იყვნენ გარდა ქართველ მომღერალთა რამოდენიმე ადგილობრივი გამოჩენილი არტისტებიც (მომღერლები), მათ შორის იაკოვლევი, ბარიატინსკი, ჩიგიანი, აბრამიანი და სხვები. თითქმის ყველა მოწვეულმა პირებმა მიიღო მონაწილეობა საღამოში; განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ქ-ნმა იავორსკაიამ, რომელმაც წაიკითხა რამოდენიმე ლექსი. მას გამოსვლისათანავე დიდი აღტაცებითა და ცხარე ტაშის ცემით შეხვდენ. გათავებისას მას ცოცხალ ვარდების თაიგული მიართვეს ერთი ქულაჯაში გამოწყობილი ქართველი ახალგაზდის ხელით.

საღამოზე გარეგნული მხრივ ყურადღებას იპყრობდა ქართული ტანისამოსი, როგორც თავსურვა, ჩერქესკა, ჩაქურა, ქულაჯა და სხვა. ტანისამოსი არაჩვეულებრივი კოხტა, სუფთა და მოხდენილი იყო; ყურადღებას იპყრობდა აგრეთვე ქართულ გემოზე მოწყობილი სასტუმრო ოთახები. ერთი მათგანი ძვირფასი ხალიჩებით იყო შემკული ლამაზათ მოწყობილი კუთხეებით, რომლებშიაც მკრთალათ ანათებდა ელექტრონი; აქვე პატარა ოთახში მოწყობილი იყო ორი კიოსკი, ერთი ხოხებში სხვა და სხვა საგაჭროებისათვის. საერთო გარმონიას არღვევდა მხოლოდ ხალიჩებზე დიდი ასოებით გაკრული პლაკატი („ЗДѢСЬ продаются персидскiе ковры") და ერთი კიოსკი, რომელიც დიმიტრი დონელის ქუდს უფრო წააგავდა, ვინემ კიოსკს. ტიპიური იყო აგრეთვე საბუფეტო ოთახში მოწყობილი ქართული სამიკიტნო თავისი დახლითა და მიკიტანით.

ახალგაზდობა სიამოვნებით ექცეოდა ნოეს საყვარელ სასმელს. დარბაზის მარჯვნივ კუთხეში ამართული იყო თამარ მეფის კოშკი, საიდანაც გადმოიყურებოდა სამეფო გვირგვინში მორთული ქ-ნი დორთქიფანიძე, რომელიც უკავშირდებს ყიდდა.

უნდა აღინუსხოს ის, რომ ქართულ სიმღერებსა და ცეკვა-თამაშს პროგრამის $^2/_3$ ეჭირა. საღამოს გულსა და სულს შეადგენდა ქართული სიმღერები, რომელიც შესანიშნავათ იქნა შესრულებული ბ. ა. ა. არხანგელსკის ხოროსაგან ბ. კ. ფოცხვერაშვილის მოხთენილი დირიჟორობით. სიმღერების ხელოვნურათ შესრულებამ გაცხარებული ტაშის ცემა გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში.

ქართულ სიმღერების ასეთმა მწყობრათ და სასიამოვნოთ ჩატარებამ ბევრ ქართველს მოულბო გული. ზოგ ამ სიმღერებში როგ. მაგ. ფაცხა და სხვა მონაწილეობა მიიღო ქართველმა ახალგაზდა მომღერალმა ბ. ა. ე. დოდონაძემ. მანვე იმღერა რამდენიმე საინტერესო სიმღერები, რითაც ძლიერ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე. მას კარგი სუფთა ბარიტონი აქვს, ხმის საკმაო შემუშავებაც ეტყობა. ფოცხვერაშვილი და დოდონაძე საღამოს უმთავრესი სულის ჩამდგმელი იყვენ, მათ კარგი სახე მისცეს მას, რისთვისაც დიდი მადლობა ეკუთვნით ქართველი საზოგადოებისაგან. ჩინებულათ შეასრულეს ლეკური ეროვნულ ტანსაცმელში ქ-ნმა ჩერქეზიშვილმა და ბ-ნმა ნატროევმა.

საღამომ მშვიდობიანათ ჩაიარა და არავითარ უსიამოვნებას ადგილი არ ჰქონია. მართალია, დასაწყისის დროს ხალხი ძლიერ ცოტა დაესწრო, მაგრამ 11—11 ნახ. საათზე მთელი დარბაზი გაივსო. საზოგადოთ საღამომ მოლოდინს გადააჭარბა. ამ საღამომ ერთხელ კიდევ დაგვიმტკიცა, რომ ძალები გვყავს. საჭიროა მათ ხელი შეუწყოთ და მით საშუალება მივსცეთ მათ მეტი სარგებლობა მოუტანონ ჩვენს საზოგადოებას.

**შ. აბ—ლი.**

---

# პროვინცია

**სიღნაღი.** სიღნაღი პატარა სამაზრო ქალაქია 15,000 მცხოვრებლებით. თუმცა სიღნაღს ბუნებით დაჯილდოვებული სოფლები აკრავს და სამაზრო ქალაქათაც ითვლება, მაგრამ ქალაქი მაინც სრულიად მოუწყობელია. ჩვენი ქალაქის მამები, ჩვეულებისამებრ, მხოლოდ მარტოკა სახელით არიან. სიღნაღი განიყოფება სამ უმთავრეს ნაწილათ: ქვევით ბაზარი, ნუკრიანის და ჭოტორის უბნები. ეს ორი უკანასკნელი უბანი სიღნაღის ნაწილათ ითვლება, მაგრამ მეტათ ჩამორჩენილნი არიან. უგზობით, უწყლობით, უშუქობით და ათასი სხვით. გარემოებამ იძულებული გახადათ ჭოტორის და ნახევარი ნუკრიანის მცხოვრებნი, რომ მიემართათ ვისთვისაც ჯერ არს, სახელმწიფოთ მაინც ჩაგვრიცხეთო. სათავეში ედგენ ერთი მუჭა არა-მკითხე ვაჟბატონები და საქმეებსაც თავიანთ გემოვნებაზე განაგებდენ. მათი არჩევნები ხდებოდა ისე, რომ ამ ზემოთ ნახსენებ უბნების მცხოვრებნი, გარდა 10 კაცისა, არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა და ხშირათ მაშინ გაიგებდენ, როდესაც ახალი ქალაქის თავი მოევლინებოდათ აცენკა-ნალოგისათვის. არჩევნებში ბატონობდენ ვარდო ამირანას ჯგუფები და უოგელთვის გამარჯვებულნი გამოდიოდენ. მათ მოწინააღმდეგე არა ყავდათ და ასე თავისუფლათ პარპაშობდენ დღემდის. დროება იცვალა, სიღნაღის მცხოვრებნიც მიხვდენ, რომ საჭირო იყო დაგამი ამოედვათ ვარდო, ამირანასთვის და ყურადღება მიექციათ ქალაქისათვის. ერთი წელიწადი შესრულდა, რაც ახალი ხმოსნები აირჩიეს სიღნაღის მცხოვრებლებმა და იმედი ქონდათ ისენი მაინც იზრუნებდენ ქალაქისთვის. პირველათ ხმოსანთა უმრავლესობამ მართლაც დიდი ენერგია გამოიჩინა. გადაშინჯეს ქალაქის ძველი მამების მოქმედება. ზოგი გაფლანგული ფულები აღმოაჩინეს, ზოგი რა, და დარწმუნდენ, რომ ძველი ხმოსნები წელიწადში ერთხელ ვერ იკრიფებოდენ. ვარდომ აღიარა, რომ ქონების დამფასებელმა კომისიამ მიდგომით და ხათრობით შეაფასა მცხოვრებთა ქონებათ და ათასი სხვა. მცხოვრებთაც იმედი მიეცათ და ამბობდენ ეხლა კი არა უშავს-რა სიღნაღსაც პატრონი ყავსო. მაგრამ მათ იმედი გაუცრუვდათ, ხმოსნები ორ ნაწილათ გაიყვნენ, ერთი ვარდოს თაყვანისმცემლები აღმოჩნდენ, მეორენი ხალხის. რა ნახა ვარდომ, რომ განსაცდელი მოელოდა, მიმართა ათასნაირ ხერხს, ხან ნაციონალურ დემაგოგობას, ხან ახალი ხმოსნების ცუდის სახელით მონათვლას და ათასი სხვა. რომ როგორმე ნიადაგი მოეპოვებინა მიმართა რეპრესიებს ხმოსნების წინააღმდეგ. ორი დასაჯა ადგილის წართმევით და სხვაც შიშის ქვეშ ჩააყენა და ჯერ კიდევ არ ვიცით ურჩ ხმოსნებს რა მოელით.

ასე გასტანა ხმოსნებს შორის ბრძოლამ ერთი წელიწადი. მცხოვრებთ იმედი ქონდათ, რომ ქალაქს სათავეში ჩაუდგებოდა ენერგიული კაცი, რომელიც უსათუოთ საჭიროა, მაგრამ აქაც მოსტყუვდენ. როგორც წინათაც გწერდი ხმოსანთა უმრავლესობა მოითხოვდა, რომ ქალაქის თავს დაენიშნა ახალი არჩევნები, მაგრამ არ დანიშნა იმ დრომდის, სანამდის თავის საქმე არ გაიუმჯობესა. როგორც ეხლა არჩევნებზე გამოირკვა ვარდოს თავის ჯგუფში ერთი ხმა აკლდა და იმის ცდაში იყო გადაეყვანა ვინმე თავის მხარეზე და გამარჯვებაც მისი იქნებოდა. როგორც არჩევნებმა დაგვანახვა ვარდოს ცდას უნაყოფოთ არ ჩაუვლია. 28 იანვარს დანიშნული იყო არჩევნები ქალაქის თავის და მის თანაშემწისა. ამ დღით ხალხმა ბლომათ მოიყარა თავი. ენიკოლოფოვმა დიდის რიხით გახსნა კრება და შეუდგენ არჩევნებს. ქალაქის თავობაზე კანდიდატათ დასახელებულ იქნენ ენიკოლოფოვი (ეხლანდელი ქ. თავი), გ. ტუაშაძე, უავრიევი და გოძიევი. უკანა ორმა უარი სთქვა კენჭის ყრაზე და შეუდგენ არჩევნებს. ენიკოლოფოვმა მიიღო 8 თეთრი და 6 შავი, ტუაშაძემ 8 თეთრი და 7 შავი. დანარჩენმა ორმა მიიღო უმნიშვნელო ხმა. ამნაირათ ბ-ნმა ენიკოლოფოვმა თავისი თავი ამორჩეულათ გამოაცხადა. ამ სურათმა დამსწრე საზოგადოების უმრავლესობა დაარწმუნა და გულდაწყვეტილნი ამ სიტყვებით დაბრუნდენ შინ: ეს შენი ქალაქის თავი, განა არ ვიცოდით, რომ ახალი ხმოსნებიც ვარდოს კომპანიას ნელ-ნელა შეუერთდებოდენ და ჩვენ ვარდოს არ აწყენინებდენ. ნუ თუ ისევ ისეთი კაცის ხელში უნდა იყოს საბრალო სიღნაღი! განა თვით ის ხმოსნები აშკარათ არ გრძნობდენ ენიკოლოფოვის მოქმედებას და არწმუნებდენ ხალხს ახალი ქალაქის თავი გვეყოლებაო? განა დაავიწყდათ ბ.ბ. ხმოსნებს ის სიტყვები, როდესაც ქალაქის თავს ჯამაგირს უმატებდენ, რომ გვინდა კარგი პირის მოწვევა და ეს არსებული ჯამაგირი ცოტა იქნებაო. ნუ თუ ბ. ენიკოლოფოვმა მართლა დაიმსახურა ჯამაგირის მომატება? აგერ ერთი წელიწადია, რაც ბ. ენიკოლოფოვს და ხმოსნებს შორის ატეხილი იყო დავა. ბ. ენიკოლოფოვი ებრძოდა იმ პირთ, რომელთაც პირველათ აღიმაღლეს ხმა მის წინააღმდეგ. და კრიჭაში ჩაუდგენ. ამ დღის შემდეგ სიღნაღის მცხოვრებთ დიდი უმრავლესობა სიხარულით მოელოდა ახალ ძალას, რომელიც საქმეს სათავეში ჩაუდგებოდა და ქალაქის საკეთილდღეოთ იზრუნებდა, მაგრამ 28 იანვრის არჩევნებმა დაგვანახვა, რომ საბრალო სიღნაღი ვარდოს ბედის წერა გამხდარა. აქ ხმოსნებმა დიდი მოუვლელობა იკისრეს და მოვალენი არიან ამას ანგარიში გაუწიონ. თუმცა ეს საყვედური ყველა ხმოსნებს არ ეკუთვნით, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ ჩვენდა სამწუხაროდ, რომ ამ ოპოზიციას, რომელიც ქ. მცხოვრებთა ინტერესების დამცველათ გამოვიდა ბოლო დროს სისუსტე ემჩნევა... ხმოსანთა და ვარდოს შორის ატეხილმა დავამ გამოიწვია ქ. თვითმართველობის რევიზია მთავრობის მხრით, რომელსაც აწარმოებენ: მაზრის უფროსი, მომრიგებელი მოსამართლე ბ. ჯორჯაძე და გუბერნატორის კანცელარიის მოხელენი. ვნახოთ ეს რევიზია რას მოგვიტანს? თუ მართლა მოხსენების მიერ წამოყენებული სხვა და სხვა ბრალდებები გამართლდა, მაშინ ბ. ენიკოლოფოვს არ დაამტკიცებენ. ქალაქის თავის თანაშემწეთ არჩეული იქნა 10 ხმით ს. ტერ-ყაზახოვი, უოფილი ქ. თავის მოწინააღმდეგე, რომელიც ქ. თავმა წინააღმდეგობისათვის ადგილიდან დაითხოვა.

**ბოგანო.**

---

# თეატრი და ხელოვნება

**ჭიათურა.** 31 იანვარს ადგილობრივ თეატრში წარმოადგინეს ასიკო ცაგარლის „ციმბირელი". ამ სეზონში ეს წარმოდგენა ყველაზე უკეთესი იყო: რადგანაც პიესა შედარებით კარგათ შეესწავლათ და არც ქართული ენა იყო ჩვეულებისამებრ ნატანჯ-ნაწვალები. განსაკუთრებით კარგები იყვენ ვანო გომელაური (მაზუთანი), გ. წერეთლისთაველი (პეტუა) და ისიდორე ყარაზაშვილი, რომელიც ზედგამოჭრილი ტიპიური სომეხი იყო. არა უშავდა ს. ცრუშვილიც. მონაწილეობას იღებდა აგრეთვე ბ. აპტაძე, რომელიც წინათ უფრო კარგათ თამაშობდა. ამ დღეს ნაკლები გრძნობა-ეტყობოდა მის თამაშს, ხოლო ჟესტიკულაციები გადამეტებული ქონდა. საჭიროა კი იყო პირიქით მეტი გრძნობა და ნაკლებათ ხელების ტრაგიკულათ კრთოლვა და სხვა ასეთი. უნდა თავი დაანებოს აგრეთვე ერთობ მონოტონურ ლაპარაკს. ქალები, მამაკაცებთან შედარებით, სუსტები იყვნენ, თუმცა საჭიროა ანსამბლს ყველა ხელს უწყობდა. წარმოდგენას ხალხი ბლომათ დაესწრო. რეჟისორობდა ისიდორე ყარაზაშვილი, რომელმაც შედარებით კარგათ შეასრულა თავისი მოვალეობა.

— აქაურ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას გადაწყვეტილი აქვს, თუ მრეწველთა საბჭო დაპირებისამებრ თვიურათ 15 მანეთს აძლევს მოიწვიოს ორი არტისტი, ქალი და კაცი.

**გ. მ—ი.**

---

### წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება მომეცით თქვენი პატივცემულ გაზეთ „ახალი სხივის" საშუალებით ვაუწყო ყველას, ვინც კი შეეხება იმას მეღის, რომ ბ-ნი კ. ი. მჭედლიშვილი, ვითომ არტისტი იყოს და ისიც თბილისის ქარ. დრამ. საზოგადოების; ეს ტყუილია. ის არასოდეს ქართულ თეატრში არ მსახურებდა მსახიობათ და არავითარი უფლება არ აქვს თავის თავს მსახიობი უწოდოს. მე მახსოვს ბ-ნი მჭედლიშვილი, როგორც სცენაზე მომუშავე (დეკორატორის შეგირდი) და თუ მას რამე მოწმობა აქვს მსახიობისა ის ყალბი და ეშმაკურათ შექნილი გახლავთ.

რეჟისორის თანაშემწე **გ. ურუშაძე** *).

*) ეს წერილი გამოიწვია ბათუმის რევიზიამ „ახ. სხივ".

რედაქტორ-გამომც. მ. არველაძე

სტამბა „შრომა", რუსის ქუჩა № 3.